

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში
ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და
პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის
მე-10 მუხლის განხორციელება ეროვნული
მაკოორდინირებელი ორგანოების დაფუძნება

ადამიანის უფლებათა სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებით
შექმნილ ორგანოთა საერთო სამუშაო გამოწვევებისა და
გამოცდილების ანალიტიკური ანგარიში

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

**ქალთა მიმართ ძალადობისა და
ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ
ბრძოლისა და პრევენციის
შესახებ ევროპის საბჭოს
კონვენციის მე-10 მუხლის
განხორციელება – ერთვნილი
მაკოლორდინირებელი
ორგანოების დაფუძნება**

ჰაკე რაბე, ნადიე უნსალი
ადამიანის უფლებათა გერმანული ინსტიტუტი

“ ადამიანის უფლებათა სხვადასხვა საერთაშორისო
ხელშეკრულებით შექმნილ ორგანოთა საერთო სამუშაო
გამოწვევებისა და გამოცდილების ანალიტიკური ანგარიში ”

7 ნოემბერი 2016

ნამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები
ავტორებს ეკუთვნით და არ არის აუცილებელი,
გამოხატავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

ყველა უფლება დაცულია.

დაუშვებელია ამ დოკუმენტის რომელიმე ნაწილის
გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია ან
გადაცემა ნებისმიერი ფორმით თუ საშუალებით:
ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი, ა.შ.) ან
მექანიკურად, მათ შორის, ასლის გადაღებით,
ჩაწერით, ან ინფორმაციის შენახვისა და ამოღების
ნებისმიერი სისტემის მეშვეობით, კომუნიკაციის
დირექტორატის წინასწარი წერილობითინებართვის
გარეშე.

(F-67075 სტრასბურგი Cedex ან publishing@coe.int).

ფოტოები © Shutterstock

ყდის დიზაინი: ევროპის საბჭო

ევროპის საბჭოს გამომცემლობა
F-67075 სტრასბურგი Cedex

www.coe.int

©ევროპის საბჭო, ნოემბერი 2016
დაბეჭდილია ევროპის საბჭოში

მადლიერების ნიშნად

წინამდებარე ანალიტიკური ანგარიში შემუშავდა სლოვაკეთის რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და ოჯახის საკითხთა სამინისტროსა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის საკოორდინაციო მეთოდური ცენტრის“ ფარგლებში, როგორც ნაწილი 2009-2014 წლების ნორვეგიის გრანტების ფინანსური მექანიზმის პროგრამისა „SK09 - ოჯახში და გენდერული ძალადობა“

ანგარიშის მომზადებისთვის ევროპის საბჭო მადლობას უხდის პროექტის კონსულტანტებს, ჰეიკე რაბესა და ნადიე უნსალს ადამიანის უფლებათა გერმანული ინსტიტუტიდან.

სარჩევი

1. შესავალი	5
1.1. ამოსავალი წერტილი.....	5
1.2. დავალება და მეთოდოლოგია.....	6
2. სახელმწიფოთა ვალდებულებები სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის განხორციელებასთან მიმართებით.....	9
3. ადამიანის უფლებათა სხვადასხვა შეთანხმების საფუძველზე შექმნილი, შერჩეული ეროვნული მაკოორდინირებელი ორგანოები: შექმნილი გამოცდილება.....	13
3.1. შვედეთი: ეროვნული მაკოორდინირებელი მექანიზმის დანერგვა სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად.....	14
3.2. ესპანეთი: ეროვნული მაკოორდინირებელი მექანიზმის დანერგვა სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად.....	18
3.3. ფინეთი: ეროვნული მაკოორდინირებელი ორგანოს დაფუძნება ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის 29 (2) მუხლის შესაბამისად.....	22
3.4. გერმანია: ეროვნული მაკოორდინირებელი მექანიზმის დანერგვა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად.....	26
4. საერთო გამოწვევები და გასათვალისწინებელი გამოცდილება.....	29
4.1 კოორდინაცია და განხორციელება.....	29
4.2 მონიტორინგი და შეფასება.....	35
4.3. სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა.....	40
4.3.1 მონაწილეობის სახეები და სტრუქტურები.....	41
4.3.2 სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოების განსხვავებული წარმოდგენები და მოლოდინები.....	42
4.3.3 გამოწვევები.....	43
5. დასკვნები.....	45
დანართები.....	49
1.1 სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ეროვნული მაკოორდინირებელი მექანიზმები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გამოკითხვაში.....	50
1.2 მე-10 მუხლითა და ადამიანის უფლებათა სხვა ხელშეკრულებებით შექმნილი ეროვნული მაკოორდინირებელი მექანიზმების წარმომადგენლები, რომლებთანაც გასაუბრება ჩატარდა.....	51
ცხრილი 1: სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრული ეროვნული მაკოორდინირებელი მექანიზმის ფარგლებში მოქმედი ორგანოები (პასუხები კითხვებზე).....	54
ცხრილი 2: მაკოორდინირებელი მექანიზმის პერსონალი და ბიუჯეტი (კითხვარზე პასუხები).....	55
ბიბლიოგრაფია.....	56

1. შესავალი

1.1. ამოსავალი წერტილი

ადამიანის უფლებათა შეთანხმებების უმეტესობა - განსაკუთრებით, კი ბოლო წლებში შემუშავებული შეთანხმებები - ხელშემკვრელი მხარეებისგან მოითხოვს კორდინაციისა და მონიტორინგის მექანიზმთა შექმნას შეთანხმებებით დაცული უფლებების სრული და ეფექტიანი განხორციელებისათვის.

ევროპის საბჭოს კონვენცია¹ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, რომელიც ცნობილია სტამბოლის კონვენციის სახელით, ამ მხრივ საკმაოდ რთული გამოწვევაა. სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლი მხარეებისგან მოითხოვს ერთი ან მეტი ოფიციალური ორგანოს განსაზღვრას ან დაფუძნებას, რომელსაც ექნება ფუნქციების ფართო სპექტრი, კერძოდ: „იმ პოლიტიკისა თუ ღონისძიებების კორდინაცია, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, რომლებიც მიმართულია კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალადობის პრევენციასა და აღკვეთაზე“. სუბსიდიარობის პრინციპის დაცვით, სტამბოლის კონვენცია სახელმწიფოებს არ მიუთითებს, როგორ უნდა განახორციელონ ეს დებულება: მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ როგორ განახორციელებენ ამ დებულებას.

სტამბოლის კონვენციის მიღებამდე, ევროპის საბჭოს რეკომენდაციით (2002)5 ძალადობისგან ქალთა დაცვის შესახებ², წევრ სახელმწიფოებში დაინერგა მონიტორინგი ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობაზე. 2014 წელს რეკომენდაციის განხორციელების მე-4 ანგარიშში აღინიშნა, რომ წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული სახელმწიფო ორგანოების შექმნის მხრივ, რომლებიც ხელს უწყობენ დაცვაზე მიმართული ზომების კორდინაციას. 2013 წელს სულ 39-მა წევრმა სახელმწიფომ შექმნა დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაზე პასუხისმგებელი მაკორდინირებელი ორგანო, ხოლო 30-მა მონიტორინგი და შეფასება ჩაატარა³. თუმცა, რადგან ხსენებული ანგარიში შეეხებოდა კონკრეტულად (2002)5 რეკომენდაციის - და არა სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის - განხორციელებას, იგი არ იძლევა დასკვნების გამოტანის საფუძველს, თუ რამდენად კარგად ასახავდა ჩატარებულ მონიტორინგი ამ მუხლით გათვალისწინებულ დეტალურ მოთხოვნებს.

დღეისათვის ევროპის საბჭოს მხოლოდ ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფომ დააფუძნა ახალი ან განსაზღვრა უკვე არსებული სტრუქტურები და მექანიზმები, რომლებიც ასრულებენ სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნის ყველა დეტალს: რაც გულისხმობს ქალთა მიმართ ძალადობასთან

¹ <http://www.coe.int/de/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168008482e>.

² http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/victims/rec_2002_5E.pdf.

³ ევროპის საბჭო (2014): ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ძალადობისგან ქალთა დაცვის რეკომენდაციის (2002)5 განხორციელებაზე მონიტორინგის მე-4 რაუნდის შედეგების ანალიტიკური კვლევა, გვ. 11.

ბრძოლის პოლიტიკისა და ღონისძიებების კოორდინაციას, განხორციელებას, მონიტორინგსა და შეფასებას. მრავალი ქვეყანა ამ მექანიზმთა შემუშავების ან სტრუქტურათა შექმნის პროცესშია. ისინი პასუხისმგებელი იქნებიან სხვადასხვა ფუნქციის შესრულებაზე.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, ასახოს პრაქტიკული გამოცდილება სტამბოლის კონვენციისა თუ სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების საფუძველზე შექმნილი ამ ტიპის მაკორდინირებელი ორგანოების ჩამოყალიბების, მუშაობის დაგეგმვისა და განხორციელების მხრივ; ასევე მიზნად ისახავს იმ ძირითადი ელემენტების გამოვლენას, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ სტამბოლის კონვენციის იმ მხარე სახელმწიფოებმა, რომლებიც ამჟამად აყალიბებენ ინსტიტუციურ სტრუქტურებს ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ღონისძიებების კოორდინაციისათვის. ანგარიშში მოყვანილმა საკითხებმა შეიძლება ხელი შეუწყოს მათ განხილვას სამოქალაქო საზოგადოების მიერ.

გვსურს, გულითადი მადლიერება გამოვხატოთ სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ყველა წარმომადგენლის მიმართ, რომლებიც კომპეტენტურად და მოთმინებით პასუხობდნენ ჩვენს მრავალ შეკითხვას თავიანთი ერთეული სტრუქტურების შემადგენლობის შესახებ, რაც ზოგჯერ შესაძლოა რთული აღსაქმელი იყოს გარედან. გამოკითხვით მოპოვებული პასუხები მართლაც სასარგებლო აღმოჩნდა ამ ანგარიშის მომზადებისათვის.

1.2. დავალება და მეთოდოლოგია

დავალება

ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობის განყოფილება მგერმანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტს დაავალა, შეემუშავებინა ანგარიში ადამიანის უფლებათა სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებით შექმნილი მაკორდინირებელი ორგანოების საერთო სამუშაო გამოწვევებისა და გამოცდილების შესახებ. მის მიზანი გახლდათ სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის განხორციელების მხარდაჭერა 2016 წელს. ამ დავალების შესრულებისათვის წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს:

განიხილოს სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების მოქმედების სფერო, რომლებიც შეეხება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკისა და ღონისძიებების კოორდინირებაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელ ორგანთა ჩამოყალიბებასა და მუშაობას;

მიაწოდოს მოსაზრებები ძირითად საკანონმდებლო, სტრუქტურულ და პრაქტიკულ საკითხებზე, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ მაკორდინირებელი ორგანოს ჩამოყალიბებისას სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის განხორციელების მიზნით, ანდა არსებული ორგანოს მანდატის ფორმულირებისას;

წარმოადგინოს კონვენციისა და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების საფუძველზე შექმნილი ის საერთაშორისო ან ევროპული ორგანოები, რომლებსაც შეუძლიათ მათი ეფექტიანობის შემზღუდავი ფაქტორების წარმოჩენა;

ხელი შეუწყოს შესაბამის დისკუსიებს მოთხოვნებზე, რომლებიც უკავშირდება ამგვარი მაკოორდინირებელი ორგანოების ჩამოყალიბებას სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების საფუძველზე (ხელმისაწვდომი ინფორმაციის ფარგლებში).

მეთოდოლოგია

22 სახელმწიფოდან⁴, რომლებმაც სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება მოახდინეს, ჯერჯერობით 15-მა⁵ შეატყობინა GREVIO⁶ -ს კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად ოფიციალური მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნის შესახებ.

ჩვენ მოკლე კითხვარი გავუგზავნეთ 15 წევრ სახელმწიფოს პირველადი ინფორმაციის მოსაპოვებლად ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კონვენციის მე-10 მუხლის განხორციელებასთან დაკავშირებით. სულ 8 ქვეყანამ მოახდინა რეაგირება (ანდორა, ავსტრია, ბელგია, დანია, იტალია, პორტუგალია, სერბეთი და შვედეთი). კითხვები ძირითადად შეეხებოდა მაკოორდინირებელი მექანიზმის შემადგენლობასა და მუშაობას და მის დაფუძნებასთან დაკავშირებულ გამოცდილებებს.

„მაკოორდინირებელი მექანიზმი“ გამოყენებულია, როგორც ზოგადი ტერმინი იმ ორგანოების აღსანიშნავად, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფეროში შემაჯავალი ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმასთან ბრძოლის პოლიტიკისა და ზომების კოორდინირებაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე.

კითხვარზე მიღებული პასუხებისა და სამაგიდო კვლევის საფუძველზე, შევარჩიეთ ესპანეთი და შვედეთი. დოკუმენტის მე-3 ნაწილში ისინი წარმოდგენილნი არიან როგორც ქვეყნები, რომლებსაც აქვთ სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის მაკოორდინირებელი მექანიზმების შექმნის გამოცდილება.

ცოდნის გაფართოების მიზნით, კვლევამ ასევე განიხილა ადამიანის უფლებათა ორი სხვა შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სტრუქტურები, რომლებიც მე-10 მუხლით გათვალისწინებულ ოთხი ამოცანიდან 1-2-ს მაინც ასრულებენ.

ერთ-ერთი სსენებული მაკოორდინირებელი ორგანო გახლდათ უწყება, რომელიც 2009 წელს ფინეთმა დააფუძნა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)

⁴<http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/210/signatures>.

⁵<http://www.coe.int/en/web/istanbul-convention/list-of-official-co-ordinating-bodies>.

⁶ GREVIO, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა დამოუკიდებელი კვლევი, რომელსაც ავალა მონიტორინგი სტამბოლის კონვენციის განხორციელებაზე.

წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის 29(2) მუხლის შესაბამისად⁷. ეს ორგანო კოორდინაციისა და, გარკვეულწილად, განხორციელების ფუნქციებსაც ასრულებს. ფინეთი შეირჩა იმის გამო, რომ საკუთარი მაკორდინირებელი ორგანოს ჩამოყალიბებამდე, შეისწავლა სხვა ქვეყნების გამოცდილება. არსებობს ფინეთის მსგავსი სახელმწიფო სტრუქტურების მქონე რამდენიმე ქვეყანა, რომლებსაც უკვე აქვთ მაკორდინირებელი სტრუქტურების მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება. ფინეთის ეროვნულმა მომხსენებელმა ადამიანებით ვაჭრობის საკითხებზე და შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავეს სტრუქტურა, რომელიც ითვალისწინებდა სხვა ქვეყნებში რამდენიმე ვიზიტისას გამოტანილ ერთ-ერთ ძირითად დასკვნას: მრავალ მაკორდინირებელ ორგანოს არ გააჩნია მათზე დელეგირებული რეალური უფლებამოსილებები და, შესაბამისად, ისინი ნაკლებეფექტიანია. ფინეთის მოდელის შესწავლამ საშუალება მოგვცა, ინფორმაცია მოვკვებოვებინა ძალადი თანამდებობის პირებით დაკომპლექტებული მაკორდინირებელი სტრუქტურის შესახებ. ეს არჩევანი მხოლოდ ამ ასპექტმა განაპირობა. ფინური კონცეფციის სხვა ასპექტები, როგორცაა მექანიზმის მწირი ფინანსური სახსრები, არ გამოდგება დადებით მაგალითად.

კიდევ ერთი ნიშნის სახით მოყვანილია გერმანიის გამოცდილება. ამ ქვეყანას ჯერ არ აქვს რატიფიცირებული სტამბოლის კონვენცია, მაგრამ შექმნა ყოვლისმომცველი მექანიზმი, რათა დაეცვა გავრცელებული უფლებების კონვენციის (UN CRPD) მოთხოვნები. გერმანიის მაგალითი საინტერესოა ორი თვალსაზრისით: მექანიზმი როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო ორგანოებს აკისრებს სხვადასხვა ფუნქციას და ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების ფართო მონაწილეობას. 2009 წელს შშმ პირთა უფლებების კონვენციის (გაერთ) რატიფიცირების შემდეგ⁸, გერმანიამ აიღო ვალდებულება მისი 33(1) და (2) მუხლების განხორციელებაზე. სახელმწიფომ ამ მიზნით სამი ორგანო შექმნა. მათი ამოცანა იყო კონვენციის სხეულები მუხლების დებულებათა შესრულების ერთობლივი ხელშეწყობა. ამ სამი ორგანოს პასუხისმგებლობა, ერთად აღებული, მოიცავს კოორდინირებას, განხორციელებასა და მონიტორინგს. ფუნქციური თვალსაზრისით - მაგრამ არა საქმიანობის სფეროთა არეალის მიხედვით - ეს სამი ორგანო შესაბამისაა სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

სტამბოლის კონვენციის 15 მხარე სახელმწიფოსთვის (რომელთაც GREVIO⁹ -ს შეატყობინეს ოფიციალური მაკორდინირებელი ორგანოს შექმნა კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად) ვაგზავნილ კითხვარზე მიღებული პასუხები შეფასდა; დამატებით, განხორციელდა სხვა შეთანხმებათა საფუძველზე შექმნილი ანალოგიური ორგანოების სამაგიდო კვლევა.

ამ შედეგებზე დაყრდნობით, ჩატარდა 11 თვისობრივი სატელეფონო გამოკითხვა. გამოკითხულთა ჯგუფში იყვნენ სხვადასხვა ხელშეკრულების საფუძველზე 5 სახელმწიფოს მიერ შექმნილი მაკორდინირებელი ორგანოები. ამ ფორმით მიღებული ინფორმაციის შესავსებად, ძირითადად, მოვიძიეთ არასამთავრობო სექტორის მოსაზრებები. ეს ორგანოები ქმნიან მაკორდინირებელი მექანიზმების ნაწილს და შეეძლოთ ინფორმაციის მოწოდება მათი მუშაობის, სტრუქტურისა და განხორციელების შესახებ¹⁰.

⁷ <http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/210/signatures>.

⁸ <http://www.un.org/disabilities/convention/conventionfull.shtml>.

⁹ GREVIO, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა დამოუკიდებელი ჯგუფი, რომელსაც ავღალია მონიტორინგი სტამბოლის კონვენციის განხორციელებაზე.

¹⁰ დანართში იხ: გამოკითხულთა სრული სია.

ჩატარდა გამოკითხვების ნაწილობრივი ტრანსკრიფცია და ანალიზი. შედეგები შეჯამდა წინამდებარე ანგარიშისთვის და წარმოდგენილია მის მე-3 და მე-4 თავებში. ამ ნაწილებში ასახულია ადამიანის უფლებათა სხვადასხვა შეთანხმების საფუძველზე შექმნილი ორგანოების გამოცდილება, გამოწვევები და ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოტანილი დასკვნები.

2. სახელმწიფოთა ვალდებულებები სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის განხორციელებასთან მიმართებით

სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს ერთი ან მეტი სახელმწიფო სტრუქტურის დაფუძნებას კონკრეტული ფუნქციების განსახორციელებლად, რათა მათ ყოვლისმომცველი და ეფექტიანი ძალისხმევა გაიღონ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მე-10 მუხლით დადგენილი მოთხოვნები საკმაოდ სცდება ადამიანის უფლებათა სხვა შეთანხმებებით განსაზღვრულ ანალოგიურ მოთხოვნებს. ამასთან, მე-10 მუხლის ვალდებულების სრული შინაარსი და მოქმედების სფერო შეიძლება განისაზღვროს კონვენციის 9-11 მუხლებით. მე-9 და მე-11 მუხლებში ჩამოთვლილი მოთხოვნები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას, მონაცემთა შეგროვებასა და კვლევას ეხება, მე-10 მუხლში წარმოდგენილი ფუნქციების შესაბამისია, ამიტომ მათი წაკითხვაზე აუცილებელია მე-10 მუხლით დადგენილი ვალდებულების შინაარსისა და მოქმედების სფეროს გასაგებად.

მუხლი 9 - არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოება.

მხარეები აღიარებენ, ხელს უწყობენ და მხარს უჭერენ ყველა დონეზე იმ შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მუშაობას, რომლებიც აქტიურად ებრძვიან ქალთა მიმართ ძალადობას, და ქმედით თანამშრომლობას ამყარებენ ამ ორგანიზაციებთან.

მუხლი 10 - მაკორდინირებული ორგანო

(1) მხარეები ნიშნავენ ან აფუძნებენ ერთ ან მეტ ოფიციალურ ორგანოს, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან იმ პოლიტიკისა და ზომების კოორდინაციაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე, რომლებიც მიმართულია კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალადობის პრევენციასა და აღკვეთაზე. ეს ორგანოები კოორდინირებას უწევენ მე-11 მუხლში მითითებული მონაცემების შეგროვებას, ანალიზებზე და ავრცელებენ მის შედეგებს.

(2) მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ მუხლის შესაბამისად დანიშნულმა ან დაფუძნებულმა ორგანოებმა მიიღონ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულია VIII თავის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 11 - მონაცემთა შეგროვება და კვლევა

(1) ამ კონვენციის განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, რომ:

ა) რეგულარულად შეაგროვებენ შესაბამის დეტალურ სტატისტიკურ მონაცემებს ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით;

ბ) მხარს დაუჭერენ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობასთან დაკავშირებულ კვლევებს, რათა გამოვლინდეს მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზები და შედეგები, შემთხვევათა რაოდენობა და გამამტყუნებელი განაჩენების წილობრივი მაჩვენებელი, ასევე, ამ კონვენციის განსახორციელებლად მიღებული ზომების ეფექტიანობა.

(2) მხარეები ეცდებიან, რეგულარულად ჩაატარონ მოსახლეობის გამოკითხვა, რათა შეაფასონ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის გავრცელება და ტენდენციები.

(3) (..)

(4) მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ მუხლის შესაბამისად შეგროვებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისათვის.

სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფერო

მუხლი 1(1) კონკრეტულად ადგენს, რომ სტამბოლის კონვენციის მიზანია ქალების დაცვა ყველა ფორმის ძალადობისაგან, მისი აღკვეთა, აღმოფხვრა და სისხლისსამართლებრივი დევნა (ტერმინი „ქალი“ განსაზღვრულია 3(ვ) მუხლით და გულისხმობს 18 წლამდე გოგონებს).

კონვენცია მკაფიოდ აღიარებს ქალთა მიმართ ძალადობას, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევას და ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას (მუხლი 2(1)) და განსაზღვრავს მას, როგორც „გენდერულ საფუძველზე ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომელსაც შედეგად მოაქვს, ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანისა ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა..(მუხლი 3 (ა))“. კონვენცია ტერმინს „გენდერი“ განსაზღვრავს არა ბიოლოგიურ კრიტერიუმში, არამედ როგორც „სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას ... და მახასიათებლებს“ (მუხლი 3 (გ)). ამდენად, ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენცია საერთაშორისო სამართლის პირველი სავალდებულო ინსტრუმენტი, რომელიც „გენდერის“ განმარტებას შეიცავს. ქალთა მიმართ ძალადობის განსაზღვრისას კონვენცია ასევე ადამიანის უფლებათა არსებულ დოკუმენტებზე წინაგ მიდის ეკონომიკური ზიანისა ან ტანჯვის ჩართვით ძალადობის აქტებს შორის.

სტამბოლის კონვენცია მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთას როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროში; ოჯახში ძალადობა მკაფიოდია განსაზღვრული, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ფორმა (მუხლი 2 (1)). მუხლი 2(2) მოუწოდებს სახელმწიფოებს, კონვენცია მამაკაცებისა და ბიჭების მიმართ ოჯახური ძალადობის შემთხვევაშიც გამოიყენონ, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციით ეს ასპექტი სახელმწიფოს დისკრეციის ფარგლებში ექვევა.

ამრიგად, კონვენციის 1-ლი და მე-2 მუხლები ქმნიან ჩარჩოებს, რომლებიც მოიცავს მხარეთა ვალდებულებას პრევენციის, დაცვის, სამართლებრივი დევნისა და ინტეგრირებული პოლიტიკის ღონისძიებათა განსახორციელებლად. ამრიგად, იგი განსაზღვრავს მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მაკოორდინირებელი ორგანოს ან ორგანოთა საქმიანობის საკითხს. 1-ლი მუხლი ასევე ირიბად უკავშირდება მონაცემთა შეგროვებასაც, ასევე, სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ინტეგრაციას მაკოორდინირებელ მექანიზმში.

ოთხი ფუნქცია, განსახორციელებელი ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთის პოლიტიკასა და ღონისძიებებთან მიმართებით

სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს იმ ოთხ ფუნქციას, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ. ესენია: სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ძალადობასთან ბრძოლის სახელმწიფო ღონისძიებათა (i) კოორდინაცია, (ii) განხორციელება, (iii) მონიტორინგი და (iv) შეფასება. მე-10 მუხლი ითვალისწინებს ამ ფუნქციების შესრულებას ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ. რადგან საერთაშორისო მონიტორინგი სტამბოლის კონვენციის განხორციელებაზე მხოლოდ ახლა იწყება, ამ ვალდებულების უფრო კონკრეტული დახასიათება ხელმისაწვდომია მხოლოდ კონვენციის განმარტებით ანგარიშში (განხილულია ქვემოთ). GREVIO-მ, საერთაშორისო დონეზე კონვენციის მონიტორინგის მხრივ პასუხისმგებელმა დამოუკიდებელ ექსპერტთა ორგანომ, 2016 წლის მარტში გამოაქვეყნა კითხვარი, რომელიც ერთგვარი საფუძველია სახელმწიფოთა ანგარიშგებისათვის კონვენციის განხორციელების შესახებ. იგი მოიცავს დეტალურ კითხვებს მე-10 მუხლით განსაზღვრული ორგანოების მანდატზე, სტრუქტურასა და როლზე. ეს ნიშნავს, რომ ავსტრიასა და მონაკოში (პირველი ქვეყნები, სადაც ჩატარდა შეფასება) კონვენციის განხორციელების შეფასებათა დასრულების შემდეგ, GREVIO-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშები ერთგვარი სახელმძღვანელო იქნება, თუ როგორ განმარტავს ეს ორგანო ვალდებულებებს.

სტამბოლის კონვენციის¹¹ განმარტებითი ანგარიშის მე-10 მუხლთან დაკავშირებული ნაწილი არ აყალიბებს რაიმე უფრო დეტალურ კრიტერიუმებს დამცავი ზომების გატარების კოორდინაციისა და განხორციელების მხრივ, თუმცა საზგასმით აღნიშნავს, რომ მიზნად ისახავს გენდერის საფუძველზე ჩადენილ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ეფექტიანობას. სახელმწიფო ზომების გატარების ქმედითი კოორდინაციის გარკვეული კრიტერიუმები შეიძლება მოვიძიოთ ანგარიშებში, რომლებიც შემუშავებულია ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის (ტრაფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის (GRETA)¹² მონიტორინგის კომიტეტის მიერ შემუშავებული ქვეყნის ანგარიშებში.

¹¹ <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016800d383a>

¹² <http://www.coe.int/en/web/anti-human-trafficking/country-monitoring-work>

ქვემოთ მოცემულია კომიტეტის მიერ ერთ ან მეტ ანგარიშში წარმოდგენილი კრიტერიუმების ჩამონათვალი სხვადასხვა სფეროსათვის:

- მექანიზმში ხელისუფლების უმაღლესი დონის ჩართულობა;
- სფეროსთან დაკავშირებული ყველა სამინისტროს ჩართულობა;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა;
- უფლებამოსილების შესაბამისი ხარისხი;
- შესაბამისი მანდატი და რესურსები, რომლებიც იძლევა მთავრობის ქმედებების კოორდინაციის საშუალებას;
- კოორდინაცია როგორც ჰორიზონტალურ, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო დონეზე, სრული და თანმიმდევრული მოქმედების უზრუნველსაყოფად.

სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიშის თანახმად, ორგანოების **მონიტორინგის ფუნქცია** მოიაზრებს იმის გარკვევას, თუ როგორ და რამდენად ეფექტიანად ხორციელდება პოლიტიკა და ღონისძიებები ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე.

პოლიტიკისა და ღონისძიებების **შეფასება** მოითხოვს მათ სამეცნიერო ანალიზს, რათა დადგინდეს, სათანადოდ აკმაყოფილებენ თუ არა ისინი დაზარალებულთა საჭიროებებს და აღწევენ თუ არა დასახულ მიზანს; ასევე, გამოვლინდეს გაუთვალისწინებელი შედეგები. ამგვარი შეფასება მოითხოვს დიდი რაოდენობით მონაცემების შეგროვებას, რაც, მე-11 მუხლის შესაბამისად, სტამბოლის კონვენციის მხარეთა ვალდებულებაა. ეს დებულება მოითხოვს, რომ მხარეებმა “რეგულარულად შეაგროვონ შესაბამისი დეტალური სტატისტიკური მონაცემები ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით”. სახელმწიფოებს ასევე მოეთხოვებათ, მხარი დაუჭირონ ყველა ფორმის გენდერული ძალადობისა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის კვლევას. ეს კვლევა უნდა მოიცავდეს „მის ძირითად მიზნებსა და შედეგებს, შემთხვევათა რაოდენობასა და გამამტყუნებელი განაჩენების წილობრივ მანჩენებლს, ასევე, ამ კონვენციის განსახორციელებლად მიღებული ზომების ეფექტიანობას;“ მე-11 მუხლისავე მოთხოვნაა, სახელმწიფოებმა „რეგულარულად ჩაატარონ მოსახლეობის გამოკითხვა, რათა შეაფასონ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის გავრცელება და ტენდენციები¹³.“

რეგიონული და ადგილობრივი დონეების ინტეგრაცია

განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ფუნქციებთან დაკავშირებით, სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში აღნიშნავს, რომ საჭიროა სტრუქტურის შექმნა, ან მისი ეფექტიანობა იმ დონეებზე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ღონისძიებების განხორციელებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფედერალური სახელისუფლებო სისტემის მქონე ქვეყნებში შესაძლოა საჭირო გახდეს მრავალი ორგანოს შექმნა.

¹³სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, §§ 74-79.

სამოქალაქო საზოგადოების ინტეგრაცია

სტამბოლის კონვენციის მე-9 მუხლი მოითხოვს ქმედითი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მის განმარტებით ანგარიშში მოცემულია ამგვარი თანამშრომლობის მოწყობის სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა უწყებთაშორის თანამშრომლობასა ან მთავრობის ყოვლისმომცველი პოლიტიკის განხორციელებაში¹⁴. მე-2 მუხლი კონვენციის ზოგადი მოქმედების სფეროს განსაზღვრავს და პირდაპირ მოუწოდებს მხარეებს, გაავრცელონ კონვენცია ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლის მიმართ; ხოლო მე-9 მუხლი არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის კონტექსტში მხოლოდ ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლაში ჩართულ პირებს მოიხსენიებს. კონვენციის განმარტებით ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეს არ ზღუდავს სახელმწიფოების უფლებას, გააფართოონ არასამთავრობო ორგანიზაციების წრე და ჩართონ ოჯახში ძალადობის უფრო ფართო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

3. ადამიანის უფლებათა სხვადასხვა შეთანხმების საფუძველზე შექმნილი, შერჩეული ერთგული მაკოორდინირებელი ორგანოები: შექმნილი გამოცდილება

ამ ნაწილში წარმოდგენილი ოთხი მაკოორდინირებელი მექანიზმის¹⁵ თითოეულ სტრუქტურას აქვს მახასიათებლები, გასათვალისწინებელი იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც ეძებენ სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების ეფექტიან და ადამიანის უფლებების შესაბამის გზებს. პირველი ორი მექანიზმი შვედეთსა და ესპანეთში ფუნქციონირებს სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრული მაკოორდინირებელი მექანიზმის სახით, ხოლო ბოლო ორი, ანუ ფინეთისა და გერმანიის მექანიზმები, შეიქმნა, რათა კოორდინაცია გაუწიოს ადამიანის უფლებათა სხვა შეთანხმებების მოთხოვნების შესრულებას.

შვედეთმა და ესპანეთმა GREVIO¹⁶ -ს აცნობეს მე-10 მუხლის მოთხოვნათა განხორციელების შესახებ. ორივე ქვეყანამ სტრუქტურები დამოუკიდებლად ჩამოაყალიბა სტამბოლის კონვენციის ძალაში შესვლამდე. კონკრეტული ფუნქციების შესრულებასთან მიმართებით, ამ ორმა ქვეყანამ განსხვავებული მიდგომები გამოიყენა. შვედეთში მაკოორდინირებელ ფუნქციას, ძირითადად, გენდერული თანასწორობის სამმართველო ასრულებს, რომელიც ჯანმრთელობისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროს ექვემდებარება; ხოლო ესპანეთმა ჯანმრთელობის, სოციალურ საქმეთა და გენდერული თანასწორობის სამინისტროს ფარგლებში შექმნა სპეციალური მაკოორდინირებელი ორგანო. ესპანეთში მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები, შვედეთი კი ამ ფუნქციებს, გარკვეულწილად, დამოუკიდებელ აკადემიურ ინსტიტუტებს აკისრებს.

¹⁴სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, § 69.

¹⁵სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მექანიზმები შვედეთსა და ესპანეთში: გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის 33-ე მუხლისა და ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის 29 (2) მუხლის მექანიზმი გერმანიაში.

¹⁶იხ: სქოლიო 6.

მაკორდინირებელი ფუნქციის მნიშვნელობა უფრო სიღრმისეულად განხილულია ფინეთის მაგალითზე. სამინისტრომ, რომელიც ადამიანებით¹⁷ ვაჭრობის საწინააღმდეგო ღონისძიებების მაკორდინირებელი ორგანოს შექმნას ხელმძღვანელობდა, გადაწყვიტა, რომ მტკიცე კავშირი მაღალ პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ დონეებთან ამ მექანიზმის ეფექტიანობის გარანტი იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლის კონვენციაში მხოლოდ ნაგულისხმევია მაკორდინირებელი ორგანოს საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების ინტეგრირების ვალდებულება, გაეროს კონვენცია შშმ პირთა უფლებების შესახებ (UN CRPD) განხორციელებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელ სახელმწიფო სტრუქტურებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ძლიერ ვალდებულებას ადგენს. მის შესასრულებლად გერმანიამ, შშმ პირთა უფლებების კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად, შექმნა სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების ინტეგრაციას ყველა ორგანოში, მათ შორის, სახელმწიფო მაკორდინირებელ და განხორციელებელ ორგანოებსა და დამოუკიდებელ, არასახელმწიფოებრივი მონიტორინგის ორგანოში.

3.1. შვედეთი: ეროვნული მაკორდინირებელი მექანიზმის დანერგვა სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად

შვედეთში ეროვნული საკორდინაციო მექანიზმი სტამბოლის კონვენციის ძალაში შესვლამდე შეიქმნა. მის რატიფიცირებამდე შვედეთის სამეფოს მთავრობა მივიდა დასკვნამდე, რომ ქვეყნის კანონმდებლობა გენდერული ძალადობის შესახებ (GBV) უკვე ითვალისწინებდა სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებს და სათანადო ზომების კორდინაციისა და განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურაც შეესაბამებოდა მას. ამ მიზეზით, კონვენციის რატიფიცირებისთანავე არ განხორციელებულა საკანონმდებლო თუ სტრუქტურული ცვლილებები. თუმცა, მას შემდეგ ეს შეფასება შეიცვალა და მთავრობამ გააცხადა განზრახვა სტრუქტურული რეფორმების განხორციელების შესახებ, რაც მაკორდინირებელი ორგანოს შექმნას მოიაზრებდა.

შვედეთში გენდერული თანასწორობის პოლიტიკა მოიცავს როგორც გენდერულ ძალადობას (GBV), ასევე ძალადობას ქალებისა და გოგონების მიმართ (VAWG). ეროვნულ დონეზე იგი ხორციელდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე, განათლებისა და იუსტიციის სამინისტროს ეგიდით. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული გენდერული თანასწორობის სამმართველო ამ საქმეში ჩართული ძირითადი უწყებია.

იგი ხელს უწყობს ყველა სამინისტროს გენდერულ ძალადობასა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული მოვალობების შესრულებაში. მინისტრთა წინადადებები შესაბამისი პოლიტიკისა და ღონისძიებების შესახებ მოითხოვს დამტკიცებას ამ სამმართველოს მიერ. იგი ასევე პასუხისმგებელია გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმების (NAP) მომზადებასა და კორდინაციაზე. ეროვნულ დონეზე კორდინირება, პირველ რიგში, ხორციელდება სამინისტროებსა

¹⁷ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის 29-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულება.

და ექსპერტებს შორის თანამშრომლობის გზით. ისინი შვედეთში ქმნიან ერთიან, ინტეგრირებულ საჯარო ორგანოს, რომელიც მოიცავს პრემიერ-მინისტრის კაბინეტს, მთავრობის სამინისტროებსა და ადმინისტრაციულ საქმეთა სამსახურს¹⁸. რეგიონულ დონეზე მაკოორდინირებელი ფუნქცია ენიჭებათ რეგიონულ ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომლებიც ფედერალური პოლიტიკის შესაბამისად მოქმედებენ. შვედეთი 21 ოლქად იყოფა. საოლქო დონეზე პოლიტიკურ ამოცანებს ახორციელებენ: საოლქო საბჭოები, რომელთა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს პირდაპირ ირჩევს ქვეყნის მოსახლეობა; აგრეთვე, ადმინისტრაციული საბჭოები - ქვეყნის ეროვნული მთავრობის ორგანოები საოლქო დონეზე. ამ უკანასკნელთა მთავარი პასუხისმგებლობაა პოლიტიკისა და ღონისძიებების კოორდინაცია ოლქში და მათი შესაბამისობა შვედეთის მთავრობის მიერ განსაზღვრულ მიზნებთან, მათ შორის, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასთან. 2007 წელს მთავრობამ დაიწყო „ქალთა მიმართ მამაკაცთა ძალადობის, ღირსების სახელით ძალადობისა და ზეწოლის, და ერთსქესიან ურთიერთობებში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის“¹⁹ „განხორციელება, რომლის თანახმადაც საბჭოებს დაევალოთ ადგილობრივი და რეგიონული უწყებების მუშაობის კოორდინირების წამოწყება, ასევე, მათი მხარდაჭერა გენდერულ ძალადობასა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობასთან ბრძოლაში. მათი ბიუჯეტი და მანდატი ამ ამოცანის შესრულებისთვის არ დაზუსტებულია. საოლქო საბჭოები წელიწადში 4-ჯერ იკრიბებიან ჯანმრთელობისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, რათა ერთმანეთსა და სამინისტროს ინფორმაცია მიაწოდონ მიმდინარე სიახლეების შესახებ. დღემდე საოლქო ადმინისტრაციულ საბჭოებს არ აქვთ მუდმივი ან გრძელვადიანი მანდატი მთავრობის მიერ დავალებული საკოორდინაციო ამოცანების შესასრულებლად; ეს, მოწოდებული ინფორმაციით, ართულებდა წინასწარ დაგეგმვასა და ეფექტიან მუშაობას.

სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული შეფასებისა და მონიტორინგის ფუნქციებს სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებები ახორციელებენ სახელმწიფოს სახელით: შვედეთში ძირითადად 2 ეროვნული უწყებაა პასუხისმგებელი მონაცემთა შეგროვებაზე: იუსტიციის სამინისტროსთან არსებული დანაშაულის პრევენციის საბჭო; და ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ეროვნული საბჭო, რომელიც ექვემდებარება ჯანმრთელობისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროს. ორივე უწყება ყოველწლიურ ანგარიშგებას ახდენს შესაბამის სამინისტროებთან. ქვეყნის ადმინისტრაციული საბჭოები ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყოველწლიურად წარუდგენენ ანგარიშს საქმიანობაზე გენდერული ძალადობისა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის სფეროში. გარდა ამისა, კვლევით ცენტრებს, როგორცაა, მაგალითად, უფსალას უნივერსიტეტთან არსებული ქალთა მიმართ მამაკაცთა ძალადობის შემსწავლელი ეროვნული ცენტრი (NCK), ევალუბათ კვლევის ჩატარება ამგვარი ძალადობის მასშტაბისა და შედეგების შესახებ და სახელმწიფო ღონისძიებათა ეფექტიანობის შეფასება. როგორც NCK, ასევე ოსტერგოთლენდის საოლქო ადმინისტრაციული საბჭო კოორდინირებას უწყვენ ამ სფეროში მომუშავე შესაბამისი ეროვნული უწყებების ქსელს²⁰.

¹⁸<http://www.government.se/the-government-offices>

¹⁹<http://www.regeringen.se/contentassets/07ef84b6218046d4aedcb4080e830ccf/action-plan-for-combating-mens-violence-against-women-violence-and-oppression-in-the-name-of-honour-and-violence-in-same-sex-relationships>


²⁰ ხეივანი რესპონდენტის თანახმად, გენდერული თანასწორობის დანაყოფში უხეივანი არიან: შვედეთის

2015 წელს შვედეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ანგარიში „პოლიტიკის მიზნები და ახალი სამთავრობო სააგენტო - შვედეთის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ეფექტიანი მმართველობა“ . მან გაიმეორა ოჯახში ძალადობის ეროვნული კოორდინატორის (2012-2014) დასკვნა და დაადგინა, რომ ეროვნულ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაცია უნდა გაუმჯობესდეს ახალი სააგენტო შექმნის გზით, რომელიც გაანალიზებს საზოგადოებრივ ტენდენციებს გენდერული თანასწორობის, გენდერული ძალადობისა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის სფეროებში და კოორდინირებას გაუწევს შესაბამის პოლიტიკასა და ღონისძიებებს. ეს სააგენტო გადაიხარება ყველა შესაბამისი ეროვნული უწყების ექსპერტთა ქსელის კოორდინაციის ამოცანას, რასაც აქამდე ოსტერგოთლენდის საოლქო ადმინისტრაციული საბჭო და NCK ახორციელებდნენ. გარდა ამისა, საოლქო ადმინისტრაციულ საბჭოებს მოეთხოვებათ ახალი სააგენტოსთვის მონაცემების მიწოდება და კონსულტაციების გაწევა რეგიონულ დონეზე პოლიტიკურ ღონისძიებათა განხორციელების შემდგომ მოთხოვნებზე. საკითხი 2016 წლის შემოდგომაზე პარლამენტში განიხილება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები არსებულ ეროვნულ მაკოორდინირებელ მექანიზმში მონაწილე ორგანოების ურთიერთქმედებასთან მიმართებით.

კანმრთელობისა და კეთილდღეობის ეროვნული საბჭო, კანმრთელობისა და სოციალური დაცვის ინსპექცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სააგენტო, კანმრთელობისა და შრომისა და კეთილდღეობის კვლევითი საბჭო, დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, პოლიციის ადმინისტრაცია, საკადასტრო სამსახური, ახალგაზრდული და სამოქალაქო საზოგადოების სააგენტო, განათლების ეროვნული სააგენტო, მედიასაბჭო, ბავშვთა დაცვის ომბუდსმენი, ციხისა და პრობაციის სამსახური, ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონების ასოციაცია, თანასწორობის ომბუდსმენი, გენდერული კვლევების სამდივნო, კაროლინსკის საუნივერსიტეტო საავადმყოფო, მიგრაციის სააგენტო, სოციალური დაზღვევის სააგენტო, ინსტიტუციური მოვლის ეროვნული საბჭო, სასამართლო მედიცინის ეროვნული საბჭო, შორეულ ტემების სამთავრობო მხარდაჭერის კომისია, ქვეყნის ადმინისტრაციული საბჭოები, ქალთა მიმართ მამაკაცთა ძალადობის შესწავლელი ეროვნული ცენტრი;

²¹<http://www.government.se/contentassets/8f596b339f08403ba040ed097cdc2be4/summary-of-the-report-policy-objectives-and-a-new-government-agency.pdf>.

²²<http://www.regeringen.se/contentassets/9d9b0adf4a844a77836ffa9ca6b466df/summary-in-english-of-sou-201449-domestic-violence---a-public-health-issue>.



3.2. ესპანეთი: ერთიანი მაკოორდინირებელი მექანიზმის დანერგვა სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად

ესპანეთი ერთ-ერთი ის ქვეყანაა, რომელმაც შეიმუშავა ყოვლისმომცველი კონცეპტუალური ჩარჩო ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნის თვალსაზრისით; ეს ჩარჩო ითვალისწინებს რეგულაციის მაღალ ხარისხს - კანონების, განკარგულებებისა და პროცედურული წესების, განსაკუთრებით კი მაკოორდინირებელი სტრუქტურებისა და დაკისრებული ამოცანების მეშვეობით.

2004 წლის დეკემბერში ესპანეთის მთავრობამ მიიღო ორგანული კანონი 1/2004 ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების შესახებ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ. სხვა საკითხებთან ერთად, კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამისი ზომებისა და პოლიტიკის გატარებას ისეთ სფეროებში, როგორცაა განათლება, სოციალური მომსახურება, ჯანდაცვა, სასამართლო სისტემა და დაზარალებულთა მხარდაჭერა²³. კანონს შემდგომ აზუსტებს რამდენიმე სამეფო ბრძანება. სხვა ქვეყნების მიერ არჩეული მიდგომისგან განსხვავებით, ეს კანონმდებლობა განსაზღვრავს კოორდინაციის მექანიზმს და შეიცავს მისი ძირითადი ფუნქციებისა და ამოცანების მარეგულირებელ დებულებებს: კანონის 29-ე და 30-ე მუხლები ითვალისწინებს ორი ორგანოს ჩამოყალიბებას ერთიანულ დონეზე. ესენია: გენდერული ძალადობის სამთავრობო დელეგაცია (შემდგომში სამთავრობო დელეგაცია) და ქალთა მიმართ ძალადობის სახელმწიფო ობსერვატორია. ცნობილია, რომ ამ ორგანოებს ევალებათ სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ყველა ფუნქციის შესრულება. ეს ნიშნავს, რომ ძირითადად სახელმწიფო მოთამაშეები მართავენ მექანიზმს.

ზემოაღნიშნული კანონმდებლობით დადგენილი ორივე ორგანო მაღალ ადმინისტრაციულ დონეზე ფუნქციონირებს, სოციალური მომსახურებისა და თანასწორობის სახელმწიფო მდივნის ეგიდით ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურებისა და თანასწორობის სამინისტროში.

სამინისტროსთან არსებულ სამთავრობო დელეგაციას ევალება: წინადადებებისა და ღონისძიებების შემუშავება გენდერულ ძალადობასა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სამთავრობო მოქმედებებისათვის; ასევე, ამ სფეროში გადადგმული ყველა ნაბიჯის კოორდინირება. მასში ერთიანდებიან: მთავრობის დელეგატი, რომელიც მოქმედებს, როგორც გენდერული ძალადობის ერთიანი კოორდინატორი და ესპანეთის მინისტრთა საბჭო უშუალოდ წარადგენს სამეფო განკარგულებით; და ორი დირექტორატის წარმომადგენელი, კერძოდ: გენდერული ძალადობის სენსიბილიზაციის, პრევენციისა და ცოდნის დირექტორატის მოადგილე, რომელიც ხელმძღვანელობს სტატისტიკის შედგენასა და კვლევის ჩატარებას; და უწყებათაშორის კოორდინაციის დირექტორატის მოადგილე, რომელიც ევალება ნებისმიერი სამინისტროს მიერ განხორციელებული საკანონმდებლო და პოლიტიკური ინიციატივის ოპტიმიზაცია გენდერულ ძალადობასა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით.

²³http://www.isotita.gr/var/uploads/NOMOTHESIA/VIOLENCE/SPANISH%20LAW%20Organic%20Act_1_28-12-04%20on%20Violence.pdf %20

სამთავრობო დელეგაცია, დირექტორატთა მოადგილეებთან ერთად, ქმნის ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ქალთა მიმართ ძალადობის სამთავრობო პოლიტიკის შემუშავებასა და ამ სფეროში განხორციელებული ყველა ქმედების კოორდინირება-ხელშეწყობაზე. სამთავრობო დელეგაციის წარმომადგენელი რესპონდენტის თანახმად, ამ ორგანოსთვის გამოყოფილია, დაახლოებით, 30 თანამშრომელი და 26 ევროს ოდენობის წლიური ბიუჯეტი.

გადაწყვეტილება სამთავრობო დელეგაციის კონკრეტული სტრუქტურის განსაზღვრაზე მიღებულია 2005 წლის დასაწყისში, მთავრობის სამეფო განკარგულებით 237/2005. სტრუქტურამ თავისი პირვანდელი ფორმა შეინარჩუნა სამეფო განკარგულების მიღების შემდეგ.

ქალთა მიმართ ძალადობის სახელმწიფო ობსერვატორია (შემდგომში სახელმწიფო ობსერვატორია), რომლის ფუნქციები და როლი მაკოორდინირებელი მექანიზმის ფარგლებში დამატებით განისაზღვრა სამეფო განკარგულებით (253/2006)²⁴, ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურებისა და თანასწორობის სამინისტროს დაქვემდებარებული კოლეგიალური ორგანოა.

თავმჯდომარის თანამდებობას იკავებს სოციალური მომსახურებისა და თანასწორობის სახელმწიფო მდივანი. მას ეხმარება ორი ვიცე-თავმჯდომარე, რომლებიც მუშაობენ როტაციის პრინციპით. პირველი ინიშნება ესპანეთის ავტონომიური თემების 17 მთავრობის შემადგენლობიდან, მეორე კი - არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან. როტაციის მიზანია რეგიონული დონის პირდაპირი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა და არასამთავრობო სექტორის მოსაზრებათა გათვალისწინება. თითოეული სამინისტროს წარმომადგენლები სახელმწიფო ობსერვატორიაში წელიწადში ერთხელანორვერიკობებიან რეგიონულ მთავრობებთან, სამეცნიერო ექსპერტებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

აქ ცვლიან ინფორმაციას და რეკომენდაციებს აწოდებენ სამთავრობო დელეგაციას. სახელმწიფო ობსერვატორიის წევრები თანამშრომლობენ ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ასპექტზე მომუშავე ჯგუფებში და ანგარიშებს აწარმოებენ ამ სფეროში განვითარებული მოვლენების შესახებ, ასევე, აფასებენ ღონისძიებებისა და პოლიტიკის ეფექტიანობას. სახელმწიფო ობსერვატორია 2007 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშებს.

ადგილობრივ და გენდერულ ძალადობაზე მომუშავე ობსერვატორია ეროვნული მაკოორდინირებელი მექანიზმის შემდგომი ორგანოა. მეორე ობსერვატორია 2002 წელს შეიქმნა იუსტიციის სამინისტროს მართლმსაჯულების გენერალური საბჭოს დაქვემდებარებაში. მასში ერთიანდებიან: იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურებისა და თანასწორობის სამინისტროები, სახელმწიფო პროკურორის ოფისი, მართლმსაჯულების საკითხებზე მომუშავე ავტონომიური რეგიონული მთავრობების წარმომადგენლები და ესპანეთის იურისტთა გენერალური საბჭო.

²⁴<http://docstore.ohchr.org/SelfServices/FilesHandler.ashx?enc=6QkG1d/PPRiC AqKb7yhssmw5jHDQu NBd+TWAIG8TIFv+GXW/SrfVuM1x0Z4bfe0ApKy1hXDEN2Y3z1x4xRICRdFI2r2ruu+JILiSeq68mC8DfoNT21gHW0/4uljJHE>.

მისი ძირითადი ამოცანებია სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების (მაგ.: შეტყობინებული შემთხვევების რაოდენობა, გადაწყვეტილებები და ა.შ.) წარმოება და ანალიზი და ამ ინსტიტუტებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება. მას შეუძლია, მთავრობას წარუდგინოს წინადადებები მართლმსაჯულების სფეროში ღონისძიებების გასატარებლად. მართლმსაჯულების ობსერვატორიის გენერალური საბჭო მონაწილეობს ქალთა მიმართ ძალადობის სახელმწიფო ობსერვატორიის შეხვედრებში.

ერთვნილი და რეგიონული (ავტონომიური თემების) დონეები რამდენიმე ასპექტში უკავშირდება ერთმანეთს. ქალთა მიმართ ძალადობის სახელმწიფო ობსერვატორიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის ზემოხსენებული როტაცია ერთ-ერთი ასეთი კავშირის მაგალითია. მსგავსი კავშირის კიდევ ერთი ნიმუში გახლავთ უწყებათაშორისი მაკორდინირებელი დირექტორატის მოადგილე, რომელიც ასევე მონიტორინგს უწევს გენდერულ ძალადობასა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის პოლიტიკის განხორციელებას რეგიონულ დონეზე. იგი წელიწადში ერთხელ ხვდება ავტონომიურ თემთა წარმომადგენლებს ღონისძიებაზე Conferencia Sectorial. კონფერენცია იღებს ქალთა მიმართ ძალადობის სახელმწიფო ობსერვატორიის ყოველწლიურ ანგარიშსაც.

3.3. ფინეთი: ერთვნილი მკაორდინირებული ორგანოს დაფუძნება ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის საბჭოს კონვენციის 29 (2) მუხლის შესაბამისად

ადამიანებით²⁵ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 29-ე მუხლის ფორმულირება და მიზნები (სპეციალიზებული და მკაორდინირებული ორგანოები) სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის მსგავსია. თუმცა, ამ ორი მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ფუნქცი(ებ)ის თვალსაზრისით. კონვენციის 29-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება შემოიფარგლება პირწმინდად მკაორდინირებული ფუნქციით, კერძოდ: კონვენციის მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან, მოახდინონ სახელმწიფო სტრატეგიების, ქმედებებისა და ღონისძიებების კოორდინაცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და ამ მიზნით შექმნან ერთი ან მეტი მკაორდინირებული ორგანო.

პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე, ფინეთმა შეიმუშავა და მრავალი წლის განმავლობაში ნერგავდა კონვენციის 29-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონცეფციას. ამ პროექტს ხელმძღვანელობდა ფინეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო მდივნის დონეზე. იგი მოიცავდა ერთვნილ სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოუსტიციის სამინისტრო, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტრო და ერთვნილი მომხსენებლის ოფისის წარმომადგენლები. პროექტი ასევე მოიაზრებდა იდეებისა და ინფორმაციის გაცვლას სხვა ქვეყნებთან, რომლებსაც უკვე ჰქონდათ შესაბამისი მექანიზმები და გამოირჩეოდნენ ფინეთის მსგავსი ერთვნილი სამთავრობო და პოლიტიკური სტრუქტურებით.

ამ ანგარიშისთვის ჩატარებულ გამოკითხვათა საფუძველზე, ჩვენ შევძელით მექანიზმის შემუშავების 4 ძირითადი მიზნის გამოვლენა:

- ეფექტიანობის ამაღლება სახელმწიფო მდივნის დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოთა მექანიზმთან დაკავშირების გზით;
- სახელმწიფო ღონისძიებათა მიზანშეწონილობისა და შესაბამისობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, კერძოდ, მექანიზმის მუშაობის, ასევე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მოსარებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით და მათ მხარდაჭერაზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობით;
- განხორციელებული ღონისძიებების ფართო გავლენის უზრუნველყოფა რეგიონული (maakunnat/ landskapet) დონის მონაწილეობით;
- მონიტორინგის ორგანოს ინსტიტუციური განცალკევება მკაორდინირებული ორგანოსგან.

ამ მიზნების განხორციელების კოორდინაციისათვის, შეიქმნა საერთო სტრუქტურა. იგი შედგება სხვადასხვა ორგანოსგან, მათ შორის, ახლად შექმნილი და უკვე არსებული ორგანოებისგან: ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინატორი,

²⁵<http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168008371d>.

„მაკორდინირებელი სამდივნო“, სამინისტროთაშორისი სამუშაო ჯგუფი შიდა უსაფრთხოების საკითხებზე (მანამდე არსებული სამთავრობო სტრუქტურის ნაწილი), მუდმივმოქმედ მდივანთა შეხვედრა (ასევე მანამდე არსებული სამთავრობო სტრუქტურის ნაწილი) და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ორი ქსელი.

კერძოდ, ეფექტიანობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა მაღალი დონის პოლიტიკური კავშირებით გახლდათ სხვა ქვეყნების გამომცდილების გაზიარების შედეგი, რომელთა მაკორდინირებელი მექანიზმები ქმნიდნენ მნიშვნელოვან იმპულსებს (ურთიერთობის, ასევე, იდეებისა და ინფორმაციის გაცვლის საშუალებით) ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, თუმცა არ ჰქონდათ ღონისძიებათა შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

სხვა ქვეყნებში განხორციელების თვალსაზრისით არსებული ამგვარი ხარვეზების თავიდან ასაცილებლად, ფინეთში ადამიანებით ვაჭრობის საკითხი მიეკუთვნა უკვე არსებული ორგანოების კომპეტენციას, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გადაწყვეტილებათა მიღებასა და მთავრობის პოლიტიკის ჰარმონიზაციაზე; მათ შორის იგულისხმება: ყველა სამინისტროს მუდმივმოქმედი სახელმწიფო მდივნების რეგულარული სხდომები და მინისტრების დონეზე შექმნილი სამინისტროთაშორისი სამუშაო ჯგუფი. თავდაპირველი გეგმა გახლდათ სახელმწიფო მდივნების რეგულარული შეხვედრების გამართვა, სადაც ისინი მხოლოდ ტრეფიკინგის თემაზე იმუშავებდნენ, თუმცა, დროისა და რესურსების შეზღუდვის გამო ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ნაცვლად ამისა, სახელმწიფო სამდივნოს დონეზე ხორციელდება ტრეფიკინგის საწინააღმდეგო სტრუქტურის მაკორდინირებელი ფუნქცია, სხვა მნიშვნელოვან სექტორთაშორის საკითხებთან კავშირში. ეს მოიცავს ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაც ზედა დონის ადმინისტრაციული და პოლიტიკური პირების პასუხისმგებლობაა.

სამინისტროთაშორისი სამუშაო ჯგუფი (სახელმწიფო მდივანზე მაღალი დონე) საქმიანობაში ერთვება, როდესაც მნიშვნელოვანია მინისტრის დონეზე მონაწილეობა, მაგალითად, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე გადაწყვეტილების მიღებისას. ეს სამუშაო ჯგუფი, საჭიროების შემთხვევაში, სტრუქტურის პოლიტიკასაც ხელმძღვანელობს.

გემოაღნიშნული ეროვნული სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციით შექმნილი „მაკორდინირებელი სამდივნო“ მთავარ პოზიციას იკავებს ფინეთის მექანიზმში. შინაგანსაქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტში ადმინისტრაციულ დონეზე ჩამოყალიბებული ამ ორგანოს მიზანია იმოქმედოს, როგორც განხორციელების მამოძრავებელმა ძალამ, ასევე, აიღოს ნაწილობრივი პასუხისმგებლობა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. მას ხელმძღვანელობს ეროვნული კორდინატორი, რომელიც მხოლოდ ტრეფიკინგის საკითხებზეა პასუხისმგებელი, და აქვს 60 000 ევროს ოდენობის ყოველწლიური ბიუჯეტი. მაკორდინირებელ სამდივნოს არ გააჩნია ადმინისტრაციული ქვეგანყოფილება. იგი დამატებით იღებს - აღურიცხავად - მხარდაჭერას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ორი თანამშრომლისგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სხვა თემებზეც.


მაკორდინირებელ სამდივნოში წარმოდგენილი არიან: შინაგან საქმეთა სამინისტრო (სხვადასხვა დეპარტამენტი), იუსტიციის სამინისტრო, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტრო, ეკონომიკურ საქმეთა და დასაქმების სამინისტრო და სავაჭრო საქმეთა სამინისტრო. მაკორდინირებელ სამდივნოში წარმომადგენლებს წარადგენენ სამინისტროები, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა შემთხვევაში - შესაბამისი დეპარტამენტები. მათი ჩართულობა მოიცავს შეხვედრებში მონაწილეობას, ასევე, შესაბამის სამინისტროსა ან დეპარტამენტთან კოორდინაციას იმ სექტორთაშორის საკითხებზე, რომლებიც მაკორდინირებელი სამდივნოს მეშვეობით მუშავდება.

მაკორდინირებელი სამდივნო ყოველთვიურად იკრიბება. იგი ყურადღებას უთმობს წინადადებების შემუშავებას სახელმწიფო ღონისძიებების შესახებ, მაგალითად, როგორცია ერთიანი სამოქმედო გეგმა, მისი განხორციელების შეფასება და სახელმწიფო ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უწყებათაშორისი კავშირების შექმნა. სამდივნო აერთიანებს ტრეფიკინგის საკითხებში ჩართული ყველა დეპარტამენტის წარმომადგენლებს. მისი წევრები სამინისტროებში უფროსი მრჩეველები არიან.

მაკორდინირებელი სამდივნო ტრეფიკინგის საკითხებზე კონსულტაციებს იღებს ამ სფეროში მომუშავე ექსპერტთა ქსელიდან, რომელიც შედგება არასამთავრობო ორგანიზაციების, ეკლესიების, პროფკავშირების, ასევე, საზოგადოებრივი სამსახურების - როგორცია პოლიციის ერთიანი საბჭო, სასაზღვრო პოლიცია ან საიმპერაციო სამსახური - და აკადემიური ინსტიტუტების 27 წარმომადგენლისაგან. ერთიანი კოორდინატორი ქსელს მიმართავს საჭიროებისამებრ, არარეგულარული გრაფიკით. ასევე არსებობს პარალელური ქსელი, რომელიც შედგება მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან; მისი კოორდინაციისთვის იგეგმება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ორგანოს შექმნა.

მონიტორინგის განხორციელების მიზნით, 2009 წელს შეიქმნა ადამიანებით ვაჭრობის საკითხებში ერთიანი მომხსენებლის თანამდებობა. ეს პოზიცია ამჟამად არსებობს იუსტიციის სამინისტროსთან, დისკრიმინაციის აკრძალვის ომბუდსმენის აპარატში. მომხსენებელი ჩართულია ტრეფიკინგის სფეროში სპეციალიზებულ ექსპერტთა ქსელში და რეკომენდაციებს აძლევს მაკორდინირებელ სამდივნოს.

ერთეულ მაკოორდინირებელ მექანიზმში ჩართული ორგანიზები ფინეთში, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 29-ე მუხლის შესაბამისად



3.4. გერმანია: ეროვნული მაკოორდინირებული მექანიზმის დანერგვა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად

გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის 33-ე მუხლი (UN CRPD) ადგენს ვალდებულებას, შეიქმნას კონვენციის შესრულების კოორდინაციისა და მონიტორინგის ჩარჩო. სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანი მონაწილეობა მთხოვნილია. გერმანიამ ეს ვალდებულება შეასრულა რამდენიმე ორგანოს/სტრუქტურის შექმნის გზით. ვინაიდან CRPD-ს 33-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები განასხვავებს სახელმწიფო მაკოორდინირებულ მექანიზმს, რომელიც „დაკავშირებული ქმედების ხელშეწყობას“ ისახავს მიზნად და დამოუკიდებელ მექანიზმს, რომლის ამოცანაც არის „კონვენციის განხორციელების ხელშეწყობა, დაცვა და მონიტორინგი“. გერმანიამ როგორც მთავრობის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ შექმნა ორგანოები. კოორდინაციისა და განხორციელების სახელმწიფო სტრუქტურა მთავარი მაკოორდინირებული ორგანოა, რომელიც ჩამოყალიბდა დასაქმებისა და სოციალურ საქმეთა ფედერალური სამინისტროს ქვედა ადმინისტრაციულ დონეზე (3 თანამშრომელი). ამასთან, ფედერალური მთავრობის კომისარი შშმ პირთა საკითხებზე იმავე დეპარტამენტს მიკუთვნება. ეს უკანასკნელი ინიშნება გერმანიის ფედერალური მთავრობის მიერ (Bundesregierung). კანონმდებლობა ადგენს მის ამოცანებსა და უფლებამოსილებებს, ასევე, ამ ამოცანების შესრულებისთვის აუცილებელი სათანადო პერსონალითა და რესურსებით უზრუნველყოფის ვალდებულებას²⁶. შესაბამისი ორგანოები დაარსდა 16 ფედერალური სახელმწიფოს დონეზე (Bundesländer), რომელთაც რეგულარული კონტაქტი აქვთ მათ კოლეგებთან ფედერალური დონეზე.


ამას გარდა, 2008 წელს ფედერალურმა მთავრობამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ადამიანის უფლებათა გერმანულ ინსტიტუტს (DIMR) დაევალა დამოუკიდებელი მონიტორინგი გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის განხორციელებაზე და ამ ამოცანის შესრულება სამოქალაქო საზოგადოების (5 თანამშრომელი) ხელში გადავიდა.

სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობად შეიქმნა „ინკლუზიის საკონსულტაციო საბჭო“. იგი 14 წევრისგან შედგება, მათ შორის არიან: შშმ პირთა რეგიონული კომისრების კონფერენციის წარმომადგენელი, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და შშმ პირები, დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმის (იხ. ქვემოთ) და დასაქმებისა და სოციალურ საქმეთა ფედერალური სამინისტროს წარმომადგენლები. ეს ბოლო ორი ასრულებს დამკვირვებლის ფუნქციას. 3 სპეციალური კომიტეტი მხარს უჭერს მრჩეველთა საბჭოს, რომელთაგან თითოეული მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების 20 წარმომადგენელს. ეს კომიტეტები UN CRPD კონვენციის განხორციელების შესახებ დოკუმენტებს ამზადებენ თავიანთი ორგანიზაციების მუშაობის კრილში და წარუდგენენ სახელმწიფო ორგანოებს. ყოველწლიური დაფინანსება 30 000 ევროს ოდენობით ხელმისაწვდომია მგზავრობის ხარჯების, შეხვედრებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მასალების კოორდინაციისთვის. საკონსულტაციო საბჭოს ამოცანები, პროცედურები, მონაწილეობის უფლებები და კვოტირების წესები ჩამოყალიბებულია პროცედურის წესებში.

²⁶Sections 17 and 18 of the Equal Opportunities for People with Disabilities Act (Behindertengleichstellungsgesetz).

მათ ოფისებში იმართება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა რეგულარული შეხვედრები შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ფედერალური მთავრობის კომისარსადასაკორდინაციოცენტრთან. ამასთანავე, დამოუკიდებელი მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო, „სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების“ მიზნით, წელიწადში 3-ჯერ ხვდება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

ერთიველ მაკოორდინირებელ მექანიზმში ხართული ორგანიზები გერმანიამი გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის 33 (1) და (2) მუხლების შესაბამისად



4. საერთო გამოწვევები და გასათვალისწინებელი გამოცდილება

ინტერვიუებმა და მოკლე გამოკითხვამ ნათელი მოჰფინა ცალკეული ქვეყნების გამოცდილებას მაკოორდინირებელი მექანიზმების შემუშავებასთან დაკავშირებით. ზოგიერთ სფეროში უკვე შესაძლებელია მიღებულ გამოცდილებაზე საუბარი, სხვებში უფრო შესაფერისია გამოვლენილი გამოწვევების განხილვა. ამის მიზეზი ნაწილობრივ უკავშირდება მექანიზმთა მიმდინარე სტატუსს: განვითარების პროცესში ზოგი მათგანი ჯერ კიდევ ერთ ან მეორე ეტაპზეა, ხოლო სხვები გარკვეული ხანია ფუნქციონირებენ. ეს ასევე ასახავს რესპონდენტებს შორის განსხვავებებს მათი მზაობის მხრივ - განიხილონ ცვლილებების საჭიროება.

8 სახელმწიფოდან 7-მა აღინიშნა, რომ მათ შექმნეს ერთი ან მეტი ოფიციალური მაკოორდინირებელი ორგანო სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ყველა ფუნქციის შესასრულებლად²⁷. ანდორამ მიუთითა, რომ მათი შექმნის პროცესში ვახლდათ. სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებამდე გამოკითხული ქვეყნების ნახევარზე მეტს უკვე ჰქონდა დაფუძნებული შესაბამისი სამთავრობო ორგანო ან ნახევრად საჯარო დაწესებულება, როგორცაა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ინსტიტუტი ბელგიაში, რომელიც 2002 წელს შეიქმნა. სხვებმა რატიფიკაციამდე, ან მას შემდეგ მალევე დააფუძნეს შესაბამისი ორგანოები. მაგალითად, ანდორამ სპეციალიზებული მაკოორდინირებელი ორგანო - ოჯახში ძალადობის პრევენციისა და გენდერის ეროვნული კომისია (CONPVG) 2015 წელს, კონვენციის რატიფიცირებიდან ერთი წლის შემდეგ ჩამოაყალიბა.

თითქმის ყველა სახელმწიფომ მიუთითა, რომ შექმნილი აქვს სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ოთხივე ფუნქციის შემსრულებელი ერთი ან ორი ორგანო. როგორც წესი, ეს სახელმწიფო ორგანოები არიან: სამინისტროს დეპარტამენტები; უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფები; და კომიტეტები ან კომისიები, რომელთაც სახელმწიფო მოხელეები ხელმძღვანელობენ. ზოგიერთ ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებები გათვალისწინებულია შერჩეული ორგანიზაციების მოწვევით სამუშაო ჯგუფების ან კომისიების წევრად (იხ. 4.2). იშვიათია მონიტორინგისა და შეფასების ელემენტების მოძიება ადმინისტრაციულ ორგანოებს გარეთ, მაგალითად, აკადემიური დაწესებულებებში.

ეს ნიშნავს, რომ, როგორც წესი, ღონისძიებებისა და პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოები პასუხისმგებელი არიან მათი ეფექტიანობის შეფასებაზეც.

კვლევის რესპონდენტთა უმრავლესობამ არ წარმოადგინა ინფორმაცია მექანიზმის ბიუჯეტის ფუნქციური გადანაწილების შესახებ.

4.1 კოორდინაცია და განხორციელება

სახელმწიფოთა უმრავლესობა იცხობინება, რომ ეროვნულ დონეზე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო ღონისძიებათა კოორდინაცია და განხორციელება უზრუნველყოფილია ეროვნული სამინისტროს მიერ (რომელიც,

²⁷ავსტრია, ბელგია, დანია, იტალია, პორტუგალია, სერბეთი და შვედეთი

როგორც წესი, პასუხისმგებელია თანასწორი შესაძლებლობების, ჯანმრთელობის, ქალებისა თუ სოციალურ საკითხებზე), ან სხვადასხვა სამინისტროს შორის თანამშრომლობის სტრუქტურის მეშვეობით (უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფები ან ზემოხსენებული კომისიები). ამ სტრუქტურების კონკრეტული ამოცანები საკმაოდ განსხვავებულია და ჩამოყალიბებული. რესპონდენტებმა თავიანთი ძირითადი ფუნქციები აღწერეს, როგორც ინფორმაციისა და იდეების რეგულარული გაცვლა სტრუქტურის ფარგლებში, რაც მოიცავდა შეხვედრებს თვეში ერთხელ, ან ყოველ 6 თვეში ერთხელ, ასევე, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და მათ ევროპულ კოლეგებთან კომუნიკაციას.

მათი მანდატისა და რესურსების გათვალისწინებით, მაკორდინირებელი ორგანოები მთავრობისთვის შეიმუშავებენ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამებს-მაგალითად, ეროვნულ სამოქმედო გეგმებს-წარმოადგენენ კონკრეტულ წინადადებებს შემდგომ ღონისძიებათა გატარებისათვის და მონიტორინგს უწევენ მათ განხორციელებას. მხოლოდ 5 ქვეყანა იტყობინება, რომ შეიმუშავებული აქვთ დებულებები რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე კოორდინაციის მართვისთვისაც. სხვებმა რეგიონული კოორდინაციის არარსებობა საბიუჯეტო და ადამიანური რესურსების ნაკლებობას მიაწერეს.

ინტერვიუებში განხილულ მრავალ საკითხს შორის, რესპონდენტებმა შემდეგი ასპექტები მიიჩნიეს შალაპრობორიტეტულად (მათი აზრით, ეს ასპექტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მაკორდინირებელი მექანიზმების დაგეგმვაში, შექმნაში და წარმატება-წარუმატებლობის განსაზღვრაში):

ეროვნულ და რეგიონულ დონეზე მხოლოდ კოორდინაციის ფუნქციის შემსრულებელი ორგანოების ჩამოყალიბება

ეფექტიანი კოორდინაციისთვის პირველი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ამა მოცანაზე პასუხისმგებელი ორგანოების შექმნა. როგორც წესი, მათ მუშაობას მხარს უჭერენ თანამშრომლები; ზოგს საკუთარი ბიუჯეტიც აქვს. მაგალითად, ბელგიურ ორგანოს ორი თანამშრომელი ჰყავს, დანიურს - ერთი სრულ და ორი ნახევარ განაკვეთზე მომუშავე, ხოლო ფინეთისას - ერთი, გარდა აღურიცხავი ადმინისტრაციული მხარდაჭერისა სხვა უწყებებისაგან.

თუ არსებული ორგანო (როგორც წესი, სამინისტრო) პასუხისმგებელია მაკორდინირებელ ფუნქციაზე, ხშირად შეუძლებელია მასთან დაკავშირებული ბიუჯეტის რაოდენობრივი განსაზღვრა, და არ არის დაზუსტებული, რამდენი საკადრო პოზიცია შეიძლება ახორციელებდეს კოორდინაციას, ანდა რა რაოდენობით სხვა ამოცანის შესრულება მოუწევს ამ პოზიციაზე მომუშავე თანამშრომელს იმავდროულად. როდესაც კოორდინაცია მეორე პრიორიტეტად მიიჩნევა რამდენიმე შესასრულებელ ამოცანას შორის, შედეგად იმისა, რისი დამატებით კეთება უწევს თანამშრომელს, ვიდრე რეგულარული კომუნიკაციის, ასევე, მაკორდინირებელ მექანიზმში მომუშავე სხვა შესაბამისი სამინისტროებისა და მხარეების ურთიერთთანამშრომლობის ნაკლებობას. საბოლოო ჯამში, ეს ეფექტიანობაზე აისახება. როგორც სამთავრობო სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა:

„ზოგიერთი უწყება იმედგაცრუებულია, რადგან ხედავს, რომ სხვა მემბელი უწყება შესანიშნავად მუშაობს, მაგრამ არ ამყარებს მასთან კომუნიკაციას, თვითონ კი არ აქვს დრო რეგულარულად თანამშრომლობისათვის და, შესაბამისად, მის მუშაობას არ გააჩნია ის პოტენციალი, რომელიც შეიძლება ჰქონოდა“.

ამგვარად, რესპონდენტების აზრით, კოორდინატორის პოზიცია საერთო მექანიზმისთვის უმნიშვნელოვანესია ყველა შესაბამისი მხარის ჩართულობის უზრუნველსაყოფად. მას შეუძლია თვალის მიდევნება შესაბამისი ორგანოების ინფორმირებაზე, ახალი ღონისძიებების შემუშავებასა და, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მათ განხორციელებაზე. ასე რომ, ერთ-ერთმა რესპონდენტმა კოორდინატორის პოზიცია ავტომობილის ძრავას შეადარა:

„უნდა არსებობდეს ასეთი სახის მამოძრავებელი ძალა, როგორც პროექტის ლიდერი, რომელიც უხელმძღვანელებს ეროვნული მაკოორდინირებელი მექანიზმის შექმნასა და მუშაობას“.

კოორდინაციის ფუნქციის მაღალი დონის კავშირი როგორც ადმინისტრაციულ, ასევე პოლიტიკურ დონეზე

მრავალ რესპონდენტს, ციტირებულის მსგავსად, კოორდინაციის ფუნქცია ესმის, როგორც მამოძრავებელი ძალა, რომელიც საკითხს წინ წაწევს, და არა როგორც „უბრალოდ ჰაბი“ ინფორმაციის მიღების, კონტაქტების დამყარებისა და კომუნიკაციისათვის. რესპონდენტები მიიხედავდნენ, რომ კოორდინაციის ფუნქცია არსებითია მაღალ ადმინისტრაციულ დონეზე. როდესაც მაკოორდინირებელი ორგანო სამინისტროს ადმინისტრაციულ დონეზე ფუნქციონირებს, მას უჭირს ყურადღების გამახვილება გენდერულ ძალადობაზე, დეპარტამენტის ფარგლებშიც კი, რადგან ეს მხოლოდ ერთ-ერთია იმ მრავალ საკითხს შორის, რომლებისთვისაც საჭიროა სათანადო რესურსების გამოყოფა და პოლიტიკური პრიორიტეტულობის მინიჭება. მეტიც, მაღალი დონის კავშირი სხვა მხრივაც სასარგებლოა, მაგალითად, როგორცაა სხვა დეპარტამენტების მიერ წამოყენებული ღონისძიებების გრძელვადიანი განხორციელება. გერმანიაში გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა სამსახურმა, რომელიც დასაქმებისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ფუნქციონირებს და აქვს მუშაობის გამოცდილება ქვედა ადმინისტრაციულ დონის სტრუქტურის სახით, მოითხოვა, რომ ამ მხრივ პასუხისმგებელი სამინისტროების შესაბამისი განყოფილებების ხელმძღვანელთა რეგულარული შეხვედრების დღის წესრიგში შეეტანათ საკითხი კონვენციის განხორციელების შესახებ, რათა ის უფრო მაღალ იერარქიულ დონეზე აეყვანათ. ეს ეფექტიანი გამოდგა რამდენიმე თვალსაზრისით: პირველ რიგში, მეტი სამინისტრო მონაწილეობდა ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში და კისრულობდა ღონისძიებათა განხორციელების ვალდებულებას; და მეორე, სხვა სამინისტროები უფრო უკეთ გაეცნენ გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის განხორციელებას.

იგივე შეიძლება ითქვას უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების ან კომიტეტების შემადგენლობასთან დაკავშირებით: რაც უფრო მაღალი თანამდებობებისაა

პასუხისმგებელი პირი სხვა სამინისტროებიდან, მით დიდია კომიტეტის ან ჯგუფის უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ღონისძიებებზე.

რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია გენდერული ძალადობის თემის ინტეგრირება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების სტრუქტურულ მანდატში და მათი დაკავშირება მაკოორდინირებელ მექანიზმთანა. ფინეთმა და სერბეთმა სწორედ ამგვარი მიდგომა აირჩიეს. ფინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულ ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმს მტკიცე კავშირი აქვს მუდმივმოქმედ მდივანთა შეხვედრებთან. ეს უკანასკნელი საორგანიზაციო ფუნქციას ასრულებს ტრეფიკინგის საწინააღმდეგო მაკოორდინირებელი სტრუქტურისთვის, მისი, როგორც სექტორთაშორისი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვით. სერბეთში სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრულ მაკოორდინირებელ ორგანოს ვიცე-პრემიერი ხელმძღვანელობს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რთულია მაღალი დონის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ორგანოთა (მაგ.: სახელმწიფო მდივნებისა ან მინისტრების) შეხვედრები მხოლოდ ერთ თემას მიეძღვნას გრძელვადიან პერსპექტივაში; არსებული შეხვედრის ფორმატში თემის ინტეგრირების მიდგომა, როგორც ჩანს, უკეთესად მუშაობს. გამოწვევა, რომელიც უკავშირდება მას, გულისხმობს თემებს შორის კონკურენციას, რასაც გვიჩვენებს სამინისტროს წარმომადგენლის ეს ციტატაც:

„ბუნებრივია, გენდერული ძალადობის საკითხები კონკურენციას ქმნის სხვა პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებით. რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მინისტრები მათ?“

აქედან გამომდინარე, ხაზგასმით აღინიშნა მაკოორდინირებელ მექანიზმთან პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიმღები ორგანოს ფორმალური კავშირის ან მათი ურთიერთკავშირის მნიშვნელობა.

სპეციალისტთა რჩევა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან

არავინ დავობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების საჭიროებაზე კოორდინაციისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მხრივ. რაც უფრო დაშორებულია მაკოორდინირებელი ორგანო ორგანიზაციებისგან, რომლებიც აქტიურად ებრძვიან ქალთა მიმართ ძალადობას (მაგ.: გადაწყვეტილებები მიიღება ძალზე მაღალ ადმინისტრაციულ ან პოლიტიკურ დონეზე), მით დიდია საფრთხე, რომ მსხვერპლთა საჭიროებები სათანადოდ არ აისახება შემუშავებულ ღონისძიებებში.

ქვემოთ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აღწერს მაკოორდინირებელ მექანიზმთან მუშაობის გამოცდილებას - კერძოდ, კონსულტაციის გამწევი პროფესიონალის გადმოსახედიდან - და აღნიშნავს, რომ იგი სრულად არ შეესაბამება დაზარალებულთა საჭიროებებს. მისი კომენტარი გამომხატავს რამდენიმე რესპონდენტის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებას, რომლებიც რეგულარულად არ არიან ჩართულნი მაკოორდინირებელ ორგანოებში.

„მაკორდინირებელი მექანიზმი ხელისუფლების ძალიან მაღალ დონეზე ფუნქციონირებს. სშირად ჩვენ ვხედავთ ბენეფიციარების დონეზე ცვლილებათა განხორციელების აუცილებლობას, თუმცა ეს საკითხი არ აისახება მექანიზმის მუშაობაში და რთულია მისი გადაჭრა“.

ქვეყნები საკმაოდ განსხვავებულ მიდგომებს იყენებენ არასამთავრობო ორგანიზაციებში არსებული ცოდნისა და დაზარალებულთა მოსაზრებების ინტეგრირებისათვის პოლიტიკასა და ღონისძიებებში. ზოგ ქვეყნებში მაკორდინირებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს სპონტანურად უწევს კონსულტაციებს. სხვაგან ამ ორგანიზაციებს მუდმივი წარმომადგენლობა აქვთ მაკორდინირებელ მექანიზმში და მოქმედებენ, როგორც მისი წევრები, ჩვეულებრივ, სამინისტროთა შორისი ორგანოების მუდმივმოქმედი წევრების სახით. ვარკვეულ შემთხვევებში მაკორდინირებელ სტრუქტურას ჰყავს კონკრეტულ თემაზე მომუშავე ქვემდგომი ჯგუფები, რომლებიც ამზადებენ მაკორდინირებელი ორგანოს შეხვედრებზე განსახილველ კონკრეტულ წინადადებებს. განსაკუთრებით არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ორგანოები, რომლებიც რეგულარულ შეხვედრებს ატარებენ, უკეთესად შეიმუშავენ ღონისძიებებს, რადგან ეს წინასწარი დაგეგმვისა და მომზადების საშუალებას იძლევა. მათი თვალსაზრისით, არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა იყვნენ მაკორდინირებელ ორგანოთა მუდმივმოქმედი წევრები, მაკორდინირებელ ორგანოებს კი უნდა ჰქონდეთ გამჭვირვალე და ფორმალური სტრუქტურები. ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს ან იკავებენ პოზიციებს ორგანოში და ვის აქვს გადაწყვეტილების მიღების საბოლოო უფლებამოსილება. გამჭვირვალეობა აუცილებელია იმასთან მიმართებითაც, თუ როგორ იყენებენ მაკორდინირებელი ორგანოს მუშაობის შედეგებს ადმინისტრაციული და პოლიტიკურ გადაწყვეტილების მიმღები პირები.

რესპონდენტები ასევე მიიჩნევენ, რომ მაკორდინირებელი ორგანოები უკეთესად მუშაობენ, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები არიან ჩართულნი ინდივიდუალური შეხვედრების დღის წესრიგის შემუშავებასა და საერთო დაგეგმვის პროცესში, მაგალითად, ორგანოს მომდევნო წლის მუშაობის დაგეგმვაში (იხ: თავი 4.2 ქვემოთ).

რეგიონული დონის ჩართულობა და რეგიონულ დონეზე კორდინირება

როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ 5 ქვეყანა იტყობინება პოლიტიკისა და ღონისძიებების რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე კორდინაციის შესახებ. დანარჩენები რეგიონული კორდინაციის არარსებობას საბიუჯეტო და ადამიანური რესურსების ნაკლებობას მიაწერენ. არასაკმარისი კორდინაცია რეგიონულ დონეზე მკაფიოდ გამოვლინდა, როგორც მდგრადი სამთავრობო ქმედების შემაფერხებელი ფაქტორი.

ერთნული და რეგიონული დონის დამაკავშირებელ სტრუქტურებში ინტეგრაციის მრავალი ვარიანტი არსებობს. ყველაზე უსტიფორმით, ეს ურთიერთქმედება მოიცავს

ინფორმაციისა და იდეების რეგულარულ გაცვლას. ბელგიაში სტრუქტურების მხრივ უფრო წინ წავიდნენ: ისინი ხელისუფლების ყველა დონეზე ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი. თითოეულ დონეზე დანიშნულია კოორდინატორი, რომელიც ხელისუფლების შესაბამის დონეს წარმოადგენს ერთობლივ კომიტეტებში - დეპარტამენტთაშორისი სამუშაო ჯგუფებისა და უწყებათაშორისი შეხვედრების ფარგლებში - სადაც იღებენ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებულ ძირითად გადაწყვეტილებებს.

ესპანეთში არსებული სტრუქტურა მსგავსად არის მოწყობილი, თუმცა მოიცავს რეგიონულ დონეზე კოორდინაციის შემდგომ ელემენტს მოიცავს. ქალთა მიმართ ძალადობის თხსერვატორია ფედერალურ დონეზე ჩართული ორგანოა. მისი თავმჯდომარე გახლავთ სოციალური მომსახურებისა და თანასწორობის სახელმწიფო მდივანი, რომელსაც ორი ვიცე-თავმჯდომარე ჰყავს. ვიცე-თავმჯდომარის პოზიციები განსაზღვრულია როტაციის პრინციპით, ერთი აირჩევა ესპანეთის 17 რეგიონული მთავრობის, ხოლო მეორე - არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შორის.

ეს მაგალითები განმარტავს არსებით ელემენტებს, რომლებიც რესპონდენტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს რეგიონული სტრუქტურების ეფექტიანი მონაწილეობისთვის - მაგალითად, როგორცაა რეგიონებში კოორდინაციის მკაფიო მანდატი და ფედერალური და რეგიონული დონეების ურთიერთდაკავშირება ერთობლივი საორგანიზაციო კომიტეტების საშუალებით.

რესურსებისა და პროფესიონალიზმის მნიშვნელობა კოორდინაციის ფუნქციისთვის

უკვე აღინიშნა რესურსების დიდი მნიშვნელობა. სათანადო რესურსების საჭიროება აშკარაა ისეთ ფუნქციებთან მიმართებით, როგორცაა შეფასება და მონიტორინგი, რომლებიც მოიცავს ემპირიულ მონაცემთა შეგროვებასა და კვლევებს (მაგ.: წარმომადგენლობითი კვლევები). კოორდინაციის ფუნქციასთან დაკავშირებით არაერთხელ აღინიშნა საზგასმით რესურსების მნიშვნელობა²⁸. ფინანსური მხარდაჭერის გარეშე, სტრუქტურები არაეფექტიანი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ გარედან ისინი შეიძლება ყოვლისმომცველი და მრავალ დონეზე მოქმედი მოგვეჩვენოს. ეს აშკარად ჩანს სამინისტროს წარმომადგენლის პასუხში კითხვაზე ერთგული მაკოორდინირებელი მექანიზმის დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობათა შესახებ:

„მართალი ვითხრათ, მექანიზმი არ არის ძალიან ძლიერი. ვინაიდან მას არ გააჩნია თავისი ბიუჯეტი, არ ჰყავს საკუთარი პერსონალი და უნდა დაეყრდნოს ორგანოთა სხვა წევრების ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას.“

მიუხედავად იმისა, რომ ეს ასპექტი ცნობილია, როგორც ჩანს, სათანადოდ არ ესმით, რა ხარჯებია საჭირო ეფექტიანი კოორდინაციისათვის. საამისოდ მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას აქვს ცალკე გამოყოფილი რესურსები. გარდა ამისა,

²⁸ასევე იხ. კრიზანი, ანდრეა; პაპ, ენიკო (2016): ყოვლისმომცველი და კოორდინირებული მიდგომის განხორციელება. პოლონეთის გენდერული ძალადობის პრევენციასა და ბრძოლაზე რეაგირების შეფასება, ევროპის საბჭო (რედაქტორი), გვ.

²⁵ ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168_064ecd8.

კორდინაციის ორგანოთა ნახევარზე მეტ შესაბამისი ფუნქციის შესრულება უწევს ეროვნულ, რეგიონულ და სათემო დონეზე (მაგ.: როგორცაა ადგილობრივი სოციალური სერვისები, რეგიონული მთავრობები); ასევე საჭიროა შესაბამისი სამოქალაქო სამოვადოების ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინირება. ჯერ კიდევ გაურკვეველია, როგორ ახორციელებენ ამ ამოცანებს იმ ქვეყნების მაკოორდინირებელი ორგანოები, სადაც საამისოდ სპეციალურად არ არის გამოყოფილი პერსონალი ან ბიუჯეტი.

ასევე მნიშვნელოვანია, სხვა მონაწილე სამინისტროებშიც არსებობდეს საჭირო რესურსები და გამოცდილება. ისინი კოორდინაციის პროცესის ნაწილს შეადგენენ და უნდა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები; ასევე უნდა ჰქონდეთ მკაფიო მანდატი, საკითხის საექსპერტო ცოდნა და, საუკეთესო შემთხვევაში, რესურსების თანაზომიერი წილი.

შესაბამისი მხარეების მიერ წარმართული დაგეგმვის პროცესი და მისი მხარდაჭერა პოლიტიკური ნებით

რესპონდენტთა გამოცდილებამ აჩვენა, რომ მაკოორდინირებელი მექანიზმის დაგეგმვასა და მოწყობას სჭირდება დრო, კარგი ტექნიკური მომზადება, მთავარი მხარეების ადრეულ ეტაპზე ჩართულობა და პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც, საბოლოო ჯამში, მოიცავს ყველა შესაბამის სამინისტროს, სათანადო უწყებებს ამზადებს რესურსების უზრუნველსაყოფად და ექსპერტული უნარების განვითარებისათვის. ერთმა კოორდინატორმა ნათლად შეაჯამა საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სტრუქტურის შექმნის აღწერისას:

„ძალიან სასარგებლო იყო ფაქტი, რომ სტრუქტურა კარგად დაიგეგმა შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა თანასწორობის სამინისტროს მუდმივმოქმედი მდივანი. თუმცა, შრომატევადი ამოცანა გახლდათ მაკოორდინირებელ მექანიზმში ყველა მხარის რეალური მონაწილეობა. პროცესს ხელი შეუწყო სხვა ცენტრალური მხარეების მხარდაჭერამ, როგორებიც არიან იუსტიციისა და ჯანდაცვის სამინისტროების მთავარი ექსპერტები.“

4.2 მონიტორინგი და შეფასება

სტამბოლის კონვენციის თანახმად, „მონიტორინგი“ ნიშნავს დაკვირვებას, როგორ და რამდენად ეფექტიანად ხორციელდება პოლიტიკა და ღონისძიებები გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. მონიტორინგი მოიცავს გაზომვისა და შეფასების ელემენტებს. კერძოდ, სტამბოლის კონვენციით ვაცნობიერებულია, რომ პოლიტიკისა და ღონისძიებების შეფასება სამეცნიერო შეფასებას მოითხოვს. მე-10 მუხლი, მე-11 მუხლთან ერთობლიობაში, გულისხმობს, რომ სახელმწიფო მონიტორინგის ფუნქციას ბევრი პასუხისმგებლობა უკავშირდება: მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა. ინტერვიუები მკაფიოდ ავლენენ ქვეყნებს შორის კონსენსუსის ნაკლებობას საკითხზე, რეალურად რას გულისხმობს შეფასება და მონიტორინგი, რით განსხვავდება ეს ორი ფუნქცია

და ვისთვის არის მათი განხორციელება ყველაზე შესაფერისი. ამ კვლევაში გაერთიანებული სახელმწიფოები შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად:

(1)ზოგიერთი ქვეყანა იტყობინება, რომ სახელმწიფო ორგანოები, მათზე დაკისრებული ფუნქციების თანახმად, ასევე აწარმოებენ შეფასებასა და მონიტორინგს, მათ შორის, ყოველწლიურ და პერიოდულ ანგარიშებს CEDAW-ს ფარგლებში, ანდა ავსებენ გაეროსა თუ ევროპის საბჭოს შესაბამის კითხვარებს;

(2)ზოგიერთ ქვეყანაში შეიქმნა ორგანოები, რომლებსაც სახელმწიფო მოხელეები ხელმძღვანელობენ მაკოორდინირებელი მექანიზმების ფარგლებში, მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობის სახელმწიფო ობსერვატორია ესპანეთში. ზოგიერთი ორგანო თვითონ აგროვებს მონაცემებს, ასევე, აფასებს სახელმწიფო ღონისძიებებსა და სტრატეგიებს. ისინი ცდილობენ, ხელი შეუწყონ მონაცემთა უკეთესად შეგროვებასა და შენახვას იმ სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომელთა საქმიანობაც მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობას. კვლავ მაგალითად მოვიყვანოთ ესპანეთის სახელმწიფო ობსერვატორიას: მან შეიმუშავა ინდიკატორების ფართო სისტემა, რომლითაც განსაზღვრავს გენდერული ძალადობის მასშტაბებსა და კონტექსტს. მონაცემთა დიფერენცირებული და ერთიანი შეგროვებისათვის, შეხვედრები და სხვა ღონისძიებები გამოყენებულია, როგორც სხვა სახელმწიფო ორგანოთა ხელშეწყობის საშუალება ინდიკატორთა ამგვარი სისტემის შემოსაღებად. აღინიშნა, რომ იტალიაში იგეგმება ქალთა მიმართ ძალადობის ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც გააერთიანებს ყველა საჯარო ადმინისტრაციისაგან მიღებულ ძველ და ახალ მონაცემებს;

(3)მესამე ჯგუფის ქვეყნები მონიტორინგისა და შეფასების ამოცანების შესრულებას ავალდებენ სახელმწიფო ადმინისტრაციის გარეთ მოქმედ დამოუკიდებელ ორგანოებს. ეს შეიძლება მოხდეს კონკრეტული ამოცანების შესრულების მანდატის გაცემით, ან ინდივიდუალურ კვლევათა ჩატარების დაკვეთით ცალკეული დაწესებულებისა ან ინსტიტუტისათვის.

(4)მაგალითად, შვედეთში, ქალთა მიმართ მამკაცთა ძალადობის შემსწავლელი ეროვნული ცენტრი, უფსალას უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტი (NCK), 1994 წელს დაფუძნდა. ბელგიაში სამოქალაქო საზოგადოებისა და მკვლევართაგან შემდგარი ექსპერტთა ჯგუფის კოორდინაცია ევალუბა მთავრობისგან დამოუკიდებელ ინსტიტუტს. ქსელი აანალიზებს ქმედებებს და წარადგენს რეკომენდაციებს ეროვნული სამოქმედო გეგმის (NAP) განხორციელებაზე. იგი ასევე ქმნის ფორუმს დაინტერესებულ მხარეთა შორის ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გასაცვლელად, ასევე, პრობლემებისა და გაუმჯობესების სფეროთა იდენტიფიცირებისათვის. ამასთან, უნივერსიტეტები ან დამოუკიდებელი ინსტიტუტები ატარებენ კანონების, ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და სტრატეგიების შეფასებას.

ამ მაგალითებში მოყვანილი მიდგომები გვიჩვენებს, რომ შეგვიძლია განვსაზღვროთ განხორციელებისა და მონიტორინგის/შეფასების ფუნქციათა ძირითადი მნიშვნელოვანი ელემენტები.

მონიტორინგისა და დამოუკიდებელი შეფასების ინსტიტუციური განცალკევება

“კარგი იქნება, ვინმემ უცხო თვალთ დაგვანახოს ჩვენი მუშაობა“, - დასძინა იმ სამინისტროს წარმომადგენელმა, რომლის დეპარტამენტიც მუშაობს გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის სახელმწიფო ღონისძიებების მონიტორინგსა და შეფასებაზე. ის გულისხმობდა იმას, რაც რამდენიმე რესპონდენტმა აღწერა, როგორც სახელმწიფო ღონისძიებების შეფასების გარე პერსპექტივის აუცილებლობა. ეს შეფასება შეესაბამება ადამიანის უფლებების ეროვნული მონიტორინგის მიდგომასაც. აღნიშნული მიდგომა ყურადღებას ამახვილებს იმ ორგანოების ინსტიტუციურ დამოუკიდებლობაზე, რომელთაც აკისრიათ ეს მოვალეობა²⁹.

როდესაც მაკორდინირებელ მექანიზმებს აქვს ფორმა, რომლის მიხედვითაც მონიტორინგი სახელმწიფო სტრუქტურების პასუხისმგებლობაში შედის, უფრო მარტივია სტრუქტურის შექმნა გენდერის მიხედვით დახარისხებულ ადმინისტრაციულ მონაცემთა შეგროვებისათვის ძალადობის ინციდენტებზე. თუმცა, მხოლოდ მონაცემთა შეგროვება არ კმარა: აუცილებელია მათი სამეცნიერო ანალიზი, რათა დადგინდეს, მიიღწევა თუ არა დასახული მიზანი სახელმწიფოს მიერ შერჩეული ღონისძიებებით და რამდენად ან რა მოცულობით მოაქვთ მათ სასურველი შედეგი. როდესაც მჭიდრო ინსტიტუციური კავშირები არსებობს ჯგუფებს შორის, რომელთაგან ერთი მხარე ატარებს ზომებს და, ამავედროულად, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას კისრულობს მათზე, ხოლო მეორე აფასებს ამ ღონისძიებათა ეფექტიანობას, ანდა როცა ეს ორი ჯგუფი იდენტურია, ნაყოფიერი ნიადაგი წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტებისათვის და შესაძლებელია, ამით ანალიზი შესუსტდეს.

ქალთა მიმართ ძალადობის ინდიკატორთა თანმიმდევრული ინტეგრირება არსებულ ოფიციალურ სტატისტიკაში და ახალი მონაცემების შეგროვება ყოვლისმომცველი კონცეპტუალური მიდგომის მიხედვით

სტამბოლის კონვენცია სახელმწიფოებს აკისრებს მონაცემთა დიდი მოცულობით შეგროვების ვალდებულებას. ამას ადასტურებს როგორც კონვენციის ტექსტი, ასევე განმარტებითი ანგარიში. მხოლოდ ეს ცალკე აღებული ვალდებულება მოიცავს შემდეგ მოთხოვნებს:

- მონაცემთა რეგულარული შეგროვება დროის დიდი პერიოდის განმავლობაში;
- მონაცემთა შეგროვება კონვენციით გათვალისწინებული ძალადობის ყველა ფორმის შესახებ;
- სხვა შესაბამისი მონაცემების შეგროვება, რომლებიც, სახელმწიფოდან გამომდინარე, შეიძლება შეიცავდეს ჯანდაცვისა თუ სოციალური კეთილდღეობის სამსახურების, სამართალდამცველი ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სასამართლო სისტემის მიერ წარმოებულ სტატისტიკას;

- მონაცემთა შეგროვება ფედერალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე;

- მონაცემთა შეგროვება, დახარისხებული სქესის, ასაკის, ძალადობის ტიპის, დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის ურთიერთობის, გეოგრაფიული ადგილისა და სხვა ისეთი ფაქტორების მიხედვით, რომელთაც სახელმწიფო მიზანშეწონილად მიიჩნევს (მაგ.: შეზღუდული შესაძლებლობა).

ბოლო პუნქტში აღნიშნული მონაცემთა კატეგორიები სავალდებულო არ არის, არც მათი სია ვახლავთ ამომწურავი. განსაკუთრებით ბოლო ორი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენების ვათვალისწინებით, უადრესად მნიშვნელოვანია მონაცემები დამნაშავეთა და დაზარალებულთა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ასევე, შეგროვებული საიმპერაციო და თავშესაფრის ორგანოების მიერ.

მონაცემთა შეგროვების მასშტაბების ვათვალისწინებით, გასაკვირი არ არის ერთი სამინისტროს წარმომადგენლის ნათქვამი: „იყო და დღემდე არსებობს ამ მონაცემთა ვაუმჯობესების საჭიროება.“ ეს შენიშვნა ასახავს თანმიმდევრულ მიდგომას განხორციელების მიმართ, რომელსაც ბევრი ქვეყანა იყენებს; ასევე, ისეთ სახელმწიფოთა ვამოცდილებას, როგორცაა ესპანეთი, რომელმაც აღნიშნულ სფეროში მონაცემთა შეგროვების ვაუმჯობესებაზე მუშაობა 2006 წელს დაიწყო და ამ მიმართულებით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ესპანეთმა თავისი მაკორდინირებული მექანიზმის ფარგლებში ცალკე ორგანო შექმნა, პასუხისმგებელი კვლევებისა და სტატისტიკის წარმოებაზე. სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის მხარდაჭერით, მაკორდინირებულ მექანიზმში ჩართული ყველა სამინისტრო სპეციალიზებულ სტატისტიკას აწარმოებს. ეს არის ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სპეციალური სამთავრობო დეპარტამენტის გრძელვადიანი მუშაობის შედეგი, მიმართული კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაზე, ასევე, მის „ლობრებაზე“ ესპანეთის შესაბამის თანამდებობის პირთა წინაშე. მოწოდებული ინფორმაციით, ინდიკატორები - როგორცაა ფემიციდის შემთხვევათა რიცხვი ეროვნულ დონეზე - რომლებიც სცდება ერთი უწყების კომპეტენციის სფეროს, საჭიროებს უწყებათაშორის მონაცემთა სინქრონიზაციას.

ამრიგად, სახელმწიფო ღონისძიებებთან, ასევე, პოლიტიკის მიზნებსა და შედეგებთან ერთად, ქვეყნები აუმჯობესებენ თავიანთ მონაცემთა ბაზებს, რაც ფუნდამენტური მნიშვნელობის ამოცანაა. ზოგიერთის ამრით, შემდგომ ეტაპზე საჭიროა საბაზისო ცვლილებების შეტანა მონაცემთა შეგროვების პოლიტიკაში, როგორცაა “ასაკისა და სქესის მიხედვით დახარისხებული რაოდენობრივი მონაცემების“ შეგროვების დაწყება. სხვები მუშაობენ პროცედურების გამჭვირვალობაზე, რაც გულისხმობს გენდერული ძალადობის კონტექსტში ჩადენილი დანაშაულის შეტყობინებას, ასევე, სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვასა და გასაჯაროებას, მათ შორის, როგორცაა ინფორმაცია დაზარალებულთა და დანაშაულში ეჭვმიტანილთა ასაკის, სქესისა და ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმების შესახებ.

2008 წელს ევროპის საბჭოს მიერ გამოქვეყნებული კვლევა მიზნად ისახავდა მონაცემთა შეგროვების პროცესში ჩართულ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოთა სექტორის იდენტიფიცირებას, ასევე, ამჟამად არსებული ხარვეზების გამოვლენას მონაცემთა დაცვის სფეროში. კვლევის ავტორებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული კომპლექსური მონაცემების შეგროვების სისტემის შექმნაზე. იმ ქვეყნებთან მიმართებით, რომლებიც პროცესის შედარებით ადრეულ ეტაპზე იმყოფებოდნენ, კვლევის მიგნებებში აღინიშნა მონაცემთა შეგროვების საერთო სტრატეგიის შემუშავების მნიშვნელობა. ავტორთა რეკომენდაცია გახლდათ სტრატეგიის შემუშავებისას სახელმწიფო ორგანოების მჭიდრო თანამშრომლობა ინსტიტუტებთან, მკვლევარებსა და სააგენტოებთან, რომლებიც ამ პრობლემებს კარგად იცნობენ თავიანთ დონეზე. კვლევამ გამოავლინა ის ელემენტებიც, რომლებიც აუცილებელია მონაცემთა კომპლექსური შეგროვების სისტემის განვითარებისათვის: მონაცემთა შეგროვების არსებული პრაქტიკის ყოვლისმომცველი და საფუძვლიანი შესწავლა, ინდიკატორთა ერთიანი სისტემის შემუშავება, მთავარი მაკოორდინირებელი ორგანოს ჩამოყალიბება პროცესის ორგანიზებისათვის, პასუხისმგებლობების მკაფიოდ განსაზღვრა თითოეულ დონეზე (ოპერატიული, სამეთვალყურეო და სხვა) და რეგულარული ტრენინგის ჩატარება მონაცემთა შეგროვებაში მონაწილე ყველა მხარისათვის. დასასრულ, კვლევა გვთავაზობს ადმინისტრაციულ მონაცემთა შეგროვების საუკეთესო პრაქტიკას³⁰.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარმოებული მონაცემების გათვალისწინება

გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტთა აზრით, მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის მონაცემები მოიცავდეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მონაცემებს. მონიტორინგის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ინტეგრირება პრობლემა არ გახლავთ, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო სტრუქტურისათვის ექსპერტული ცოდნის გაზიარებას ურთიერთკავშირებისა ან კონსულტაციების მეშვეობით. ნაკლებად ცხადია, როგორ უნდა მიუდგეს სახელმწიფო სტრუქტურა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეგროვებულ მონაცემებს კლიენტებზე, მოძიებულს ქალთა თავშესაფრებში, საკონსულტაციო ცენტრებში, ასევე, საგანგებო და მხარდაჭერის ცხელი ხაზების მეშვეობით. რესპონდენტებმა აღნიშნეს სირთულეები დაწესებულებათა ფართო სპექტრიდან მონაცემთა შეგროვების პრაქტიკის სტანდარტიზაციასთან დაკავშირებით, ასევე, პრობლემები კლიენტების მონაცემთა დაცვის სფეროში. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო ორგანოებს არ უნდა ჰქონდეთ წვდომა კლიენტთა მონაცემებზე.

მონაცემთა გამჭვირვალობა და უკუკავშირის მექანიზმების დანერგვა

თითქმის ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ წარმოებული მონაცემები უფრო ფართო აუდიტორიისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ეს შეესაბამება სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებას და უკავშირდება

³⁰ რუესკანენ, ელინა; არომა, კაუკო (2008): ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ადმინისტრაციულ მონაცემთა შეგროვება ოჯახში ძალადობის შესახებ, ევროპის საბჭო (რედაქტორი) ხელმისაწვდომია: [http://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Source/EG-VAW-DC\(2008\)Study_en.pdf](http://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Source/EG-VAW-DC(2008)Study_en.pdf)

რეგულარულ ანგარიშგებას ეროვნულ დონეზე. სტამბოლის კონვენციის მხარე სახელმწიფოებს რეგულარული ანგარიშგების მხრივ მნიშვნელოვანი თავისუფლება ენიჭებათ და ეს ვალდებულება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად სრულდება (მუხლი 11(4)). სახელმწიფოს დისკრეციაა ფორმისა და საშუალებების, ასევე, ხელმისაწვდომი ინფორმაციის ტიპის განსაზღვრა.

ზოგიერთი სახელმწიფოს ამრით, რეგულარული ანგარიშგება ხელს უწყობს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის მოქცევას საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში და მნიშვნელოვან უკუკავშირს აწვდის გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მომუშავე ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს. ესპანეთში, მაგალითად, გენდერისა და ოჯახში ძალადობის ობსერვატორიის სასამართლო სტატისტიკის სამსახური (იხ. 3.2) კვარტალურ სტატისტიკურ ანგარიშებს აწვდის ქვეყნის ყველა სასამართლოს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ.

სხვა ქვეყნები ყოველწლიურ ანგარიშებს აქვეყნებენ. ზოგიერთ შემთხვევაში, შვედეთის მსგავსად, ანგარიშებს აწარმოებენ ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულები. შვედეთის 21 ოლქი ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს ღონისძიებებისა და პოლიტიკის ადგილობრივად განხორციელების შესახებ. შესაბამისი სამინისტროების თანამშრომლები ყოველწლიურ ანგარიშს განხორციელებაზე აწვდიან შესაბამის მინისტრებს. ქალთა მიმართ ძალადობის სახელმწიფო ობსერვატორია ესპანეთშიც აწარმოებს ყოველწლიურ ანგარიშს გენდერული ძალადობის შესახებ³¹.

პრიორიტეტულობის მინიჭება მსხვერპლთა თვალსაზრისით

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები განსაკუთრებულად აღნიშნავენ, რომ გენდერული ძალადობის მსხვერპლთა თვალსაზრისი უმნიშვნელოვანესი უნდა იყოს პრიორიტეტთა განსაზღვრისა და ინდივიდუალური ღონისძიებების გატარებისას, ასევე, მაკორდინირებელი მექანიზმის საქმიანობისა და მასზე დაკისრებული 4 ფუნქციის განხორციელებისათვის. მათი თქმით, ეს ყოველთვის ასე არ ხდება, განსაკუთრებით, თუ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ან შემოთავაზებული კანონმდებლობა თავის გავლენას ახდენს მაკორდინირებელი მექანიზმის მუშაობაზე და, შესაბამისად, მის პრიორიტეტებზე.

4.3. სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მნიშვნელოვან რესურსს ქმნიან როგორც დაზარალებულთა მხარდაჭერის, ასევე გენდერული ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით. დაზარალებულთა პრობლემებისა და საჭიროებების სიღრმისეული ცოდნა საშუალებას იძლევა, მათი მოსაზრებები გაითვალისწინონ პოლიტიკისა და ღონისძიებების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები კრიტიკულად აფასებენ მთავრობის ქმედებებსაც. შესაბამისად, მათი ჩართვა ეროვნულ მაკორდინირებელ მექანიზმში გაზრდის და გააძლიერებს სამთავრობო რეაგირებას გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის გამოწვევებზე.

³¹იხ: ქალთა მიმართ ძალადობის ობსერვატორიის მე-7 ყოველწლიური ანგარიში, 2015; ხელმისაწვდომია: http://www.violenciagenero.msssi.gob.es/violenciaEnCifras/estudios/coleccion/pdf/VII_Informe_Eje_cutivo_InglesI.pdf.

სტამბოლის კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ჩართულობას უნდა ჰქონდეს ეფექტიანი თანამშრომლობის ფორმა (მუხლი 9). აღნიშნული ვალდებულება გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობა დაზარალებულთა დაცვისა და კონსულტაციების გაწევის პროცესში, და მოიცავს ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებშიც.

4.3.1 მონაწილეობის სახეები და სტრუქტურები

სამოქალაქო საზოგადოება გარკვეული ფორმით ყველა იმ მექანიზმში მონაწილეობს, რომელიც ჩვენ შევისწავლეთ. ძირითადად იგულისხმება არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც პოლიტიკის საკითხებზე მუშაობენ, მაგალითად, ორგანიზაციათა გაერთიანებები, ან ლობისტური ორგანიზაციები, რომლებიც ეროვნულ დონეზე არიან წარმოდგენილი მაკორდინირებელ მექანიზმებში. მათ ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, გახლავთ პროფესიონალური ცოდნისა და გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული მონაცემების მიწოდება კორდინაციის მექანიზმის ფარგლებში მოქმედი სხვადასხვა ორგანოსათვის. სამოქალაქო ორგანიზაციების წვლილმა შეიძლება განსხვავებული ფორმა მიიღოს. ეს შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციისა და რჩევის ცალმხრივ მიწოდებას, იდეებისა და ინფორმაციის გაზიარებას, ან მონაცემთა გაგზავნას შეფასებისა და კვლევის კონტექსტში. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ძირითადად მონაწილეობენ ღონისძიებათა შემუშავებისა და შეფასების ეტაპებზე, რაც ნათლად აჩვენებს, რომ ისინი არ არიან ჩართულნი ღონისძიებებსა ან პოლიტიკაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადმინისტრაციულ ან პოლიტიკურ დონეზე.

ქვეყნების უმრავლესობაში არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობენ როგორც უწყებათაშორისი ჯგუფის წევრები. თუმცა, ზოგიერთმა სახელმწიფომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობისათვის შექმნა სპეციალური სტრუქტურა, რომელსაც თვითონვე აფინანსებს. მაგალითად, გერმანიაში გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის მაკორდინირებელ მექანიზმში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩასართავად შექმნა მრჩეველთა საბჭო. ეს ორგანო აერთიანებს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და შშმ პირთა ორგანიზაციებს (DPOs) თითოეული შესაბამისი სფეროდან. მას ევალება რეკომენდაციების გაცემა შშმ პირთა დამოუკიდებელი ფედერალური კომისიისთვის და მხარს უჭერენ საექსპერტო კომიტეტები, რომლებიც მუშაობენ კონვენციის კონკრეტულ ასპექტებზე, ასევე, წარადგენენ წინადადებებს მთავრობის სამოქმედო გეგმისათვის.

საბჭოს რეგულარული შეხვედრები ორგანიზებულია შშმ პირთა ფედერალური კომისიის აპარატის მიერ, რომელიც დასაქმებისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ფუნქციონირებს. პროცედურის წესი შემუშავდა მრჩეველთა საბჭოს მუშაობის, პროცედურებისა და ქვორუმის საკითხების მართვის მიზნით. დამსწრეთა მგზავრობის ხარჯები ანაზღაურდება.

სხვა ქვეყნებში, მაკორდინირებელი მექანიზმის ხელმძღვანელი სამინისტრო აფინანსებს თანამშრომელს, რომელსაც ევალება არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის კოორდინირება. იგი ესწრება შეხვედრებს, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოცდილებას და იდეებს უზიარებენ. ჩვენთვის აღწერილი მონაწილეობის ყველაზე სუსტი ფორმა გახლდათ არასამთავრობო ორგანიზაციების არარეგულარული მოწვევა და უბრალოდ მოთხოვნა, გაუზიარონ პრაქტიკული გამოცდილება.

4.3.2 სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოების განსხვავებული წარმოდგენები და მოლოდინები

როგორც მოსალოდნელია, სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო ორგანოებს ძალზე განსხვავებული წარმოდგენები და შეფასებები აქვთ სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო ორგანოებს შორის თანამშრომლობაზე. სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელი რესპონდენტები „არჩევენ“ არასამთავრობო ორგანიზაციებს, „ნიშნავენ“ საკონსულტაციო საბჭოებში და „საჭიროებისამებრ“ სთხოვენ პრაქტიკული ექსპერტული ცოდნისა და პროფესიულ საქმიანობაზე ინფორმაციის გაზიარებას. საერთო ჯამში, ისინი სამოქალაქო საზოგადოებას აღწერენ, როგორც მნიშვნელოვან მხარეს, რომლის მონაწილეობაც არ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ.

საპირისპიროდ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები უფრო კრიტიკულად არიან განწყობილნი მათი ჩართულობისა თუ მონაწილეობის მიმართ, მისი ფორმის მიუხედავად. ისინი აღიარებენ გარკვეულ პოზიტიურ ასპექტებს, როგორცაა სამოქალაქო საზოგადოების ქსელების გაძლიერება და პროფესიული სტანდარტების გაუმჯობესების შესაძლებლობა. მათ შეაფასეს პირდაპირი და ორგანიზებული წვდომაც სამინისტროებზე, როგორც სასარგებლო ასპექტი მექანიზმის ფარგლებში მათი მუშაობისათვის. მიუხედავად ამისა, რესპონდენტები სამოქალაქო საზოგადოებიდან ხაზს უსვამდნენ სამთავრობო ორგანოებთან კონსულტაციების არადამაკმაყოფილებელ შედეგებს: მათ არ იციან, საბოლოო ჯამში, რა მოჰყვება მიწოდებულ რეკომენდაციებსა და კრიტიკას. ისინი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ მათ გავლენას. მიიხსენივა, რომ ეროვნულ მაკორდინირებელ მექანიზმებში მოქმედ ზოგიერთ ორგანოს აკლია გამჭვირვალობა. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ზოგჯერ თავს მექანიზმის „ფსევდომონაწილეებად“ აღიქვამენ.

კრიტიკა გარკვეულწილად განპირობებულია მაღალი მოლოდინით მაკორდინირებელი მექანიზმის მიმართ. ეს კარგად ჩანს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის ციტატიდან:

„თუკი არსებობს პრობლემა, თქვენ ამ საკითხს წამოჭრით ქსელში და მაკორდინირებელი მექანიზმის ოფიციალური არხის საშუალებით, რის შემდეგაც ის გადაიჭრება“.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ შეიძლება კონკრეტული გამოწვევების გამოვლენა, რომელთა განხილვაც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოებასთან

ევექტიანი თანამშრომლობის სტრუქტურის შესამუშავებელი გზების მოსაძიებლად. იგი გაითვალისწინებს უფლებრივ ურთიერთმიმართებას სახელმწიფოს, როგორც დაფინანსების წყაროსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ხშირად გრანტის მიმღებთა როლში გვევლინებიან.

4.3.3 გამოწვევები

გამოკითხვებში ყურადღება გამახვილდა კრიტიკულ საკითხებსა და მათთან დაკავშირებულ გამოწვევებზე. ბევრ მსგავს გამოწვევასა და ხარვეზს ასახავს ევროპის საბჭოს კარგი პრაქტიკის კოდექსი გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის შესახებ³². კოდექსი ადგენს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო ხელისუფლებას შორის კონსტრუქციული ურთიერთობების ხელშეწყობის 4 პრინციპს (მონაწილეობა; ნდობა; ანგარიშვალდებულება; და გამჭვირვალობა და დამოუკიდებლობა), ასევე, ხელშეწყობი ვარემოს შექმნის პირობებს, რომლებიც უნდა გამოიყენებოდეს მონაწილეობის 4 დონეზე. ესენია: ინფორმაციის გაზიარება, კონსულტაცია, დიალოგი და პარტნიორობა.

სახელმწიფო ორგანოების მიერ ინიცირებული და მოთხოვნილი არარეგულარული კონსულტაციები

ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია თავის მონაწილეობას აღწერს როგორც სახელმწიფო ორგანოების საჭიროებებზე ორიენტირებულ პროცესს. სახელმწიფო ორგანოები ადგენენ შეხვედრების სიხშირეს, რომლებიც იგეგმება სამინისტროების შეხვედრებისამებრ. არასამთავრობო ორგანიზაციები არ არიან ჩართულნი შეხვედრების დღის წესრიგის შედგენაში; სამინისტროები დღის წესრიგს არსებული საჭიროებების შესაბამისად შეიმუშავებენ. მათი გადმოსახედიდან ეს გასაკვებია პოლიტიკური პროცესების იმპერატიული მოთხოვნების გათვალისწინებით.

შერჩეული არასამთავრობო ორგანიზაციები არ მუშაობენ გენდერული ძალადობის ყველა ფორმაზე და არ წარმოადგენენ გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმის მსხვერპლთა ინტერესებს

გამოკითხვით გამოვლინდა ისიც, რომ როდესაც სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა გულისხმობს არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობას სახელმწიფო ორგანოებთან, ან სახელმწიფო ორგანოების მიერ კოორდინირებულ კომიტეტებში ჩართულობას, ხშირად სახელმწიფო ორგანოები თვითონ არჩევენ მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებს. სამოქალაქო საზოგადოებას არა აქვს უფლება, გაგზავნოს თავისი შერჩეული დელეგატები. ამან შეიძლება გამოიწვიოს მსხვილი და ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციების შერჩევა კომიტეტებში. ასეთ შემთხვევაში ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ მიგრანტთა საკითხებზე, ასევე, მცირე არასამთავრობო ორგანიზაციები ან თვითორგანიზებული ჯგუფები. ეს, თავის მხრივ, წარმოშობს რისკს, რომ გენდერული ძალადობის შედეგად დაზარალებული მარგინალიზებული ჯგუფების მოსაზრებებს და, შესაბამისად, საჭიროებებს არ გაითვალისწინებენ სახელმწიფო ღონისძიებათა შექმნაშედეგად.

³²ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016802eed5c>.

არასამთავრობო ორგანიზაციების გადატვირთვა მონაწილეობის შესახებ მრავალი მოთხოვნით და რესურსების ნაკლებობა

რამდენიმე ორგანოსგან შემდგარი მექანიზმები შეიძლება მოითხოვდეს ისეთი მასშტაბის მონაწილეობას, რომელსაც მცირე ზომის არასამთავრობო ორგანიზაციები მწირი რესურსებით ვერ დააკმაყოფილებენ. მრავალ კონტექსტში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობას მივყავართ პროფესიონალური ხარისხის კლებამდე, რაც იწვევს მექანიზმის არაეფექტიანობას. ამას გვიჩვენებს შემდეგი ციტატა:

„არსებობენ ექსპერტული ცოდნის მქონე მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც მსგავსი პრობლემა აქვთ - მათ არ გააჩნიათ საჭირო რესურსები და ... ზოგჯერ ისინი აცხადებენ, რომ დეარდნამდე მონაწილეობენ, ანუ იმდენ მოთხოვნას იღებენ, რომ უბრალოდ ვერ ახერხებენ ყველას მიღვევებას...“

ამ მიზეზით, გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს არასამთავრობო ორგანიზაციათა რესურსების გათვალისწინებას მაკორდინირებელი მექანიზმის შექმნისას. ეს გულისხმობს ფრთხილ გამოკვლევას, რათა განისაზღვროს იმ ორგანოთა ტიპები, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა რეალურად შეუწყობს ხელს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის უფრო ქმედითი ღონისძიებებისა და სტრატეგიის შემუშავებას; ასევე ვითავაზობს, რომ ფინანსური დაგეგმვა ითვალისწინებდეს მგზავრობის ხარჯების კომპენსაციას.

პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენის მცირე შესაძლებლობა

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელ რესპონდენტთა კრიტიკის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გაჟღერებული საგანი გახლდათ პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე გავლენის მცირე შესაძლებლობა. ეს აღწერილიც კი იყო, როგორც „ფიქვდომონაწილეობა“. რესპონდენტთა აზრით, მათ წვლილს არა აქვს საკმარისი გავლენა პროცესებზე. ისინი აცხადებდნენ, მათ სთხოვდნენ კომენტარს კანონპროექტის, ეროვნული სტრატეგიების, ან სამოქმედო გეგმების შესახებ, თუმცა, საბოლოოდ, პრიორიტეტულ საკითხებსა და ღონისძიებებს სხვაგან ირჩევდნენ, ანუ დახურულ კარს მიღმა, პირწმინდად პოლიტიკური ლოგიკით, და არა პროფესიონალთა მოსაზრებების გათვალისწინებით.

„დიახ, ასე რომ, [სამოქალაქო საზოგადოების ქსელს] შეუძლია რაიმე წინადადების წარდგენა და განსაზღვრა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილება მიიღება იმის მიხედვით, ვინ ვისი ნაცნობია. ჩვენ ვერ ვახდენთ ზემოქმედებას მასზე. ეს უფრო რაღაცისკენ მოწოდებას ჰგავს და არანაირი გავლენა არ გააჩნია.“

ერთგუნული მაკორდინირებელი მექანიზმების ანგარიშვალდებულების ნაკლებობა

მექანიზმში წარმოდგენილ არასამთავრობო ორგანიზაციათათვის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების შემოღდება გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული

ღონისძიებების განხორციელება სახელმწიფოს ვალდებულებაა. ამ შეზღუდვის წინაშე მდგარი არასამთავრობო ორგანიზაციები სახელმწიფო პარტნიორების მხრიდან, სულ მცირე, ანგარიშვალდებულებას მაინც ითხოვენ. შემდეგი ციტატა გვიჩვენებს, რომ ეს კვლავ განხილვის საგანია სახელმწიფო და არასახელმწიფო მხარეებს შორის:

„ჩვენ ამ თემას ადვოკატირებას ვუწევთ, მაგრამ მათთვის ჯერ კიდევ არ არის მისაღები სამოქალაქო საზოგადოების ქსელის წინაშე ანგარიშგება სტრატეგიის განხორციელების თაობაზე ... ვგულისხმობ საკუთარი მოვალეობების შესრულებას მთავრობის მიერ და სამოქალაქო საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულებას“.

5. დასკვნები

სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლი მხარეებისგან მოითხოვს ყოვლისმომცველი მაკორდინირებელი მექანიზმის შექმნას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო ღონისძიებათა განხორციელების, კოორდინირების, შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით. მოთხოვნები განსაკუთრებით მრავალფეროვანი და ფართოა ბოლო ორი ამოცანის - შეფასებისა და მონიტორინგის თვალსაზრისით. კოორდინაციის ვალდებულება ადამიანის უფლებათა სხვა კონვენციების მსგავსია, მაგრამ როდესაც სხვა ხელშეკრულებები მოიცავს ანგარიშგების ან მონიტორინგის ფუნდამენტურ მოთხოვნებს, მათი მონაცემთა შეგროვების მოთხოვნები, ჩვეულებრივ, ისეთი კონკრეტული და შორსმიმავალი არ არის, როგორც განსაზღვრულია სტამბოლის კონვენციის მე-11 მუხლში.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კვლევა შემოიფარგლებოდა მხოლოდ გარკვეული ასპექტების შესწავლით შერჩეულ ქვეყნებში, მან აჩვენა, რომ სახელმწიფოები ფუნდამენტურად განსხვავებულ მიდგომებს იყენებენ მე-10 მუხლის განხორციელებისა და გაეროს ან ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სხვა შეთანხმებებში მოცემული მსგავსი ვალდებულებების მიმართ. შეფასება, რამდენად კარგად ასრულებენ მე-10 მუხლის მოთხოვნებს შერჩეული სტრუქტურები, GREVIO-ს ამოცანაა.

თუმცა, კვლევაში წარმოდგენილი მაგალითების შესწავლა ცხადყოფს, რომ მთლიანობაში, სტამბოლის კონვენციის მხარე სახელმწიფოებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს სტრუქტურების შემუშავებისა და შექმნის მხრივ. მე-3 და მე-4 თავებში ჩვენ შევეცადეთ, შეგვევაშაშინა ეს გამოცდილება. გარდა ამისა, კონკრეტული წინადადებები და ვალდებულებათა შესრულების ხელშეწყობი დოკუმენტები შეიძლება მოვიძიოთ ევროპის საბჭოს³³ მიერ გამოცემულ კვლევებშიც, რომლებიც შეეხება გენდერული ძალადობის მონაცემთა შეგროვებას (მონიტორინგის მთავარი ელემენტი), ასევე, ადამიანის უფლებათა მოთხოვნებს პოლიტიკურ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით³⁴.

³³იხ. სქოლიო 30

³⁴იხ. სქოლიო 32

მე-10 მუხლის განხორციელების დაწყებისას მიზანშეწონილია რამდენიმე ძირითადი ასპექტის დაზუსტება ან/და განხორციელება, რომლებიც ნებისმიერი მექანიზმის ფუნდამენტურ ელემენტებს განსაზღვრავს და დეტალური სტრუქტურის ჩარჩოს ქმნის.

მაკორდინირებელი მექანიზმის მანდატი

სტამბოლის კონვენცია ნათლად ადგენს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, ოჯახში ძალადობა, განხორციელებული ღონისძიებების ძირითად ფოკუსს უნდა წარმოადგენდეს. კონვენციის მხარეები თვითონ წყვეტენ, თუ რა მასშტაბით მოიცავს მექანიზმის მანდატი ოჯახში ძალადობის სხვა ჯგუფებს, როგორებიც არიან ბიჭები და მამაკაცები, რადგან კონვენცია მხოლოდ „წაახალისებს“ მათ ჩართვას (იხ. თავი 2).

კორდინაცია და განხორციელება

კორდინაციის ვალდებულებასთან მიმართებით, სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში აღნიშნავს, რომ მაკორდინირებელი მექანიზმის მიერ შესრულებული ამოცანების მიზანია „ყველა უწყებისა და მთავრობის ყველა სექტორის თანმიმდევრული ძალისხმევა“, „ნებისმიერი ახალი პოლიტიკის რეალური განხორციელება“ და განხორციელებული ღონისძიებების „სათანადო კორდინირება“.

სხვადასხვა ქვეყანაში მაკორდინირებელი მექანიზმების შექმნის შედეგად მიღებული გამოცდილების შესწავლამ გარკვეული მსგავსება გამოავლინა მათ შორის. ზოგიერთი ეს მსგავსება გვიჩვენებს, რომ ფედერალური სტრუქტურის მქონე ქვეყნებში ყველა შესაბამისი ორგანოს ეფექტიანი კორდინაცია მთითხვს მაკორდინირებელი ორგანოების განსაზღვრას სხვადასხვა დონეზე. ასევე გამოვლინდა, რომ კორდინაციის ეფექტიანობისათვის, ორგანო, რომელიც მოქმედებს როგორც მთავარი მთაბაშე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო დაფინანსებით და მაღალპროფესიული კადრებით (საუკეთესო შემთხვევაში); მისი უფლება-მოვალეობები უნდა განისაზღვროს კანონით და ჰქონდეს დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

ასევე აშკარაა: იმისთვის, რომ კორდინაციის ფუნქციამ რეალურად იქონიოს გავლენა ღონისძიებების განხორციელებაზე, ის უნდა განისაზღვროს მაღალადმინისტრაციულ დონეზე მოქმედი ორგანოსთვის; ამავდროულად, საკითხი უნდა გაერთიანდეს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურათა მანდატში (იხ. თავი 4.1).

მონიტორინგი და შეფასება

მონიტორინგისა და შეფასების ამოცანებთან დაკავშირებით, მექანიზმის სტრუქტურასა და დაფინანსებაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ ფუნდამენტურ საკითხებს (იხ. თავი 4.2):

(1) ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება მთლიანად სახელმწიფო ადმინისტრირების ფარგლებში უნდა ხორციელდებოდეს თუ გარე და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ორგანოების მიერ? ადამიანის უფლებათა სხვა შეთანხმებების შემთხვევაში, როგორცაა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ან გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენცია, შეინიშნება ასეთი ტენდენცია: სახელმწიფო ღონისძიებების მონიტორინგი ევალებათ ადმინისტრაციის ფარგლებს მიღმა მოქმედ ორგანოებს. ამ კვლევით შესწავლილმა ბოგიერთმა ქვეყანამ იგივე მიდგომა გამოიყენა სტამბოლის კონვენციის შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად.

(2) გარე მონიტორინგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხელშეკრულებების გაფორმებით უნდა განხორციელდეს თუ საჭიროა ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული მექანიზმის არსებობა, რომლის პირობებშიც ამოცანები დაევალებათ ისეთ ორგანიზაციებს, როგორებიც გახლავთ დამოუკიდებელი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები ან ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი ინსტიტუტები? ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ მანდატის გამცემმა ადმინისტრაციამ გავლენა არ იქონიოს მიგნებათა შერჩევასა და წარდგენაზე.

(3) ხომ არ არის მიზანშეწონილი მონიტორინგისა და შეფასების ცენტრალიზებული მართვა მაკორდინირებელი ორგანოს მხრიდან?

(4) რამდენად აუცილებელია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მონაცემებისა და მიგნებების გაერთიანება და ანგარიშების რეგულარული გასაჯაროება?

(5) სამოქალაქო საზოგადოების წევრებს - როგორებიც არიან დახმარების სპეციალური სამსახურები, აკადემიური ექსპერტები და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები - „ინფორმაციის მიმწოდებლების“ როლი უნდა ჰქონდეთ თუ პარტნიორებად უნდა იყვნენ ჩართულნი მონიტორინგისა და შეფასებისას? ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმ კონტექსტში, ძირითადად როგორ განისაზღვრება მაკორდინირებელ მექანიზმში მონაწილეობა.

როგორ არის გავრცელებული მონაწილეობა

მიზანშეწონილია, პროცესის დასაწყისშივე განისაზღვროს მონაწილეობის, როგორც მექანიზმის ფუნდამენტური კონცეფციის გავება. ამ განსაზღვრებას გავლენა აქვს (i) მექანიზმის ოთხივე ამოცანაზე, (ii) მექანიზმის დაგეგმვისა და განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე და (iii) მექანიზმის მუშაობის ფარგლებში გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ინდივიდუალური ღონისძიებების შემუშავების ფაზებზე. სტამბოლის კონვენცია არ ითვალისწინებს რაიმე კონკრეტულ მოთხოვნებს ამასთან დაკავშირებით, მაგრამ განმარტებითი ანგარიში ეხება პარტნიორთა ჩართულობის იდეას, რომელიც უნდა გვესმოდეს როგორც მოთხოვნა ფართო მონაწილეობის შესახებ. შესაბამისად, ქვეყნების უმრავლესობა ხშირად რთავს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს მაკორდინირებელ მექანიზმს ან მასთან არსებულ ინდივიდუალურ ორგანოებში. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ საკითხი სიღრმისეულად არ განხილულა,

და მონაწილე მხარეებისთვის არ იყო ცხადი, მონაწილეობის რა დონეა ოპტიმალური (ინფორმაცია, კონსულტაცია, დიალოგი ან პარტნიორობა)³⁵ და რომელ პირობებში. ამას შესაძლოა გავლენა ჰქონდეს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შერჩევაზე, ინფორმაციის მიწოდებაზე, დღის წესრიგის განსაზღვრაზე, თანამშრომლობის სტრუქტურასა და სახელმწიფოსა თუ სამოქალაქო საზოგადოების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრაზე (იხ. თავი 4.3).

³⁵იხ. სქოლიო 33.

დანართები

1.1 ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ეროვნული მაკოორდინირებელი მექანიზმები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გამოკითხვაში

- ანდორა:** ოჯახში ძალადობის პრევენციისა და გენდერის ეროვნული კომისია (CONPVG) ტექნიკურ დახმარებას იღებს სოციალური საქმეთა სამინისტროს, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს მხრიდან);
- ავსტრია:** „ძალადობისგან ქალთა დაცვის“ უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი (IMAG) და ეროვნული მაკოორდინირებელი სააგენტო “ქალთა მიმართ ძალადობა” (ქალთა დაცვისა და ჯანმრთელობის ფედერალური სამინისტროს ეგიდით);
- ბელგია:** ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ინსტიტუტი;
- დანია:** გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი (ბავშვთა, განათლებისა და გენდერული თანასწორობის სამინისტრო) და ინტეგრაციის პოლიტიკის სამმართველო (ემიგრაციის, ინტეგრაციისა და საცხოვრისის სამინისტრო);
- იტალია:** თანასწორი შესაძლებლობების განყოფილება (მინისტრთა საბჭოს იტალიის წარმომადგენლობა);
- პორტუგალია:** პორტუგალიის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომიტეტი (PNHRC საგარეო საქმეთა სამინისტროში);
- სერბეთი:** გენდერული თანასწორობის მაკოორდინირებელი ორგანო ვიცე-პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით;
- შვედეთი:** გენდერული თანასწორობის სამმართველო (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო).

2. მე-10 მუხლითა და ადამიანის უფლებათა სხვა ხელშეკრულებებით შექმნილი ეროვნული მაკორდინირებული მექანიზმების წარმომადგენლები, რომლებთანაც გასაუბრება ჩატარდა

- სერბეთი:**
- გენდერული თანასწორობის სამმართველო (შრომის, დასაქმების, ვეტერანთა და სოციალურ საქმეთა სამინისტრო, გენდერული თანასწორობის მაკორდინირებული ორგანოს წევრი ვიცე-პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით);
 - ქალთა ავტონომიური ცენტრი, ბელგრადი, არასამთავრობო ორგანიზაცია.
- ესპანეთი:**
- გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სამთავრობო დევეგაცია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო);
 - ესპანეთის მართლმსაჯულების გენერალური საბჭოს ობსერვატორია (იუსტიციის სამინისტრო);
 - Fundacion Mujeres, არასამთავრობო ორგანიზაცია.
- შვედეთი:**
- გენდერული თანასწორობის სამმართველო (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო);
 - ქალთა მიმართ მამაკაცთა ძალადობის შემსწავლელი ეროვნული ცენტრი.
- ფინეთი:**
- ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კოორდინატორი (შინაგან საქმეთა სამინისტრო);
 - RIKU, მსხვერპლთა მხარდაჭერა ფინეთი, არასამთავრობო ორგანიზაცია.
- გერმანია:**
- უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი შშმ პირთა ფედერალური კომისიის ოფისში (შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო);
 - Netzwerk Artikel 3 e.V., სამოქალაქო საზოგადოების ქსელი.

ცხრილი 1: სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრული ეროვნული მაკოორდინირებული მექანიზმის ფარგლებში მოქმედი ორგანოები (პასუხები კითხვებზე)

ქვეყანა	კოორდინაცია	განხორციელება	მონიტორინგი	შეფასება
ანდორა	<p>ოჯაში ძალადობის პრევენციისა და გენდერის ეროვნული კომისია (სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო)</p>	<p>სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო</p>	<p>სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, სოციალური დაცვის სამინისტრო.</p>	<p>სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო</p>
აგსტრია	<p>„ძალადობრივად ქალთა დაცვის“ უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი (IMAG): ქალთა და განათლების სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; ჯანდაცვის სამინისტრო; საოჯახო საქმეთა და ახალგაზრდობის სამინისტრო; შრომის, სოციალური დაცვისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამინისტრო; ევროპულ საქმეთა სამინისტრო; ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტრო) და ეროვნული მაკოორდინირებული სააგენტო „ქალთა მიმართ ძალადობა.“</p>	<p>IMAG, შუსაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციები და ინსტიტუტები.</p>	<p>IMAG</p>	<p>IMAG, შუსაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციები და ინსტიტუტები.</p>

ქვეყანა	კოორდინაცია	განხორციელება	მონიტორინგი	შეფასება
ბელგია	ქალაქი და მამაკაცთა თანასწორობის ინსტიტუტი	თანასწორობის ინსტიტუტი და უწყებათაშორისი ჯგუფი (IDG: შესაბამისი აღმინისტრაციული მართვაშედეგები ფედერალურ, რეგიონულ და სათემო დონეებზე).	თანასწორობის ინსტიტუტი & IDG.	თანასწორობის ინსტიტუტი & IDG.
აგსტრია	გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი (ბავშვთა, განათლებისა და გენდერული თანასწორობის სამინისტრო) და ინტეგრაციის პოლიტიკის განყოფილება (ემიგრაციის, ინტეგრაციისა და საცხოვრისის სამინისტრო).	ბავშვთა, განათლებისა და გენდერული თანასწორობის სამინისტრო (NAP 1 „რეაქცია და ინტეგრირებული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები“) ემიგრაციის, ინტეგრაციისა და საცხოვრის სამინისტრო; (NAP 2 „ქოლგენული სტრატეგია ლირსების სახელით კონფლიქტების წინააღმდეგ“).	გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი (ბავშვთა, განათლებისა და გენდერული თანასწორობის სამინისტრო) NAP 1; ემიგრაციის, ინტეგრაციისა და საცხოვრის სამინისტრო; დანიის საერთაშორისო დასაქმებისა და ინტეგრაციის სააგენტო NAP 2.	გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი (ბავშვთა, განათლებისა და გენდერული თანასწორობის სამინისტრო) NAP 1; დანიის საერთაშორისო დასაქმებისა და ინტეგრაციის სააგენტო NAP 2.

ქვეყანა	კოორდინაცია	განხორციელება	მონიტორინგი	შეფასება
იტალია	თანასწორი შესაძლებლობების დეპარტამენტი (მინისტრთა საბჭოს იტალიის წარმომადგენლობა)	ძალადობის ეროვნული რეპორტი (თანასწორი შესაძლებლობების დეპარტამენტი).	n.a.	n.a.
პორტუგალია	პორტუგალიის ადამიანის უფლებათა ეროვნული კომიტეტი (PNHRC; შინაგან საქმეთა სამინისტრო)	მოქალაქეებისა და გენდერული თანასწორობის კომისია (CIG)	PNHRC	CIG
სერბეთი	გენდერული თანასწორობის მაკოორდინირებული ორგანო (ვიცე-პრემიერი)	n.a.	თანასწორობის დამოუკიდებელი კომისარი	n.a.
ესპანეთი	მთავრობის დელეგაცია გენდერული ძალადობის, სოციალური მოშლახურებისა და თანასწორობის სამინისტრო)	n.a.	მთავრობის დელეგაცია გენდერული ძალადობის შესახებ	მთავრობის დელეგაცია გენდერული ძალადობის შესახებ
შვედეთი	სამთავრობო აპარატი (უწყებათაშორისი ორგანო) და 3 ძირითადი სამინისტრო, საოლქო ადმინისტრაციული საბჭოები (რეგიონული კოორდინაცია), ქალთა მიმართ ძალადობის მთავრობის ეროვნული ცენტრი და ოსტერგოთლენდის საოლქო ადმინისტრაციული საბჭოები (შესაბამისი ეროვნული სააგენტოების კოორდინაცია).	სამინისტროები, საოლქო ადმინისტრაციული საბჭოები, შვედეთის ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონების ასოციაცია.	სამინისტროები	შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო და ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ეროვნული საბჭო; სხვა უწყებები და უნივერსიტეტები.

ცხრილი 2: მაკოორდინირებელი მექანიზმის პერსონალი და ბუჯეტი (კითხვარზე პასუხები)

ქვეყანა	კოორდინაცია	განხორციელება	მონიტორინგი
ანდორა	კოორდინაცია, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება.	ოჯახში ძალადობის პრევენციისა და გენდერის ეროვნული კომისია (CONPVG); პროფესიული სოციალური მომსახურება, ჯანმრთელობის დაცვა, შრომა, სამართალი, პოლიცია და პოლიტიკური თანასწორობის სფერო. 40-საათიანი სამუშაო დღე.	n.a.
აგესტრია	კოორდინაცია, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება.	კოორდინაცია: 4 სრული განაკვეთზე მომუშავე პერსონალი (IMAG და ეროვნული მაკოორდინირებული სააგენტო); • განხორციელება, შეფასება, მონიტორინგი: n.a.	n.a.
ბელგია	კოორდინაცია, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება.	კოორდინაცია: 2 თანამშრომელი (IEWM); • განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება: 5 თანამშრომელი (შხარდაჯერებული უწყებათაშორისი ჯგუფის მიერ).	• კოორდინაცია: 72,000 ევრო; • განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება: n.a.
ფინეთი	კოორდინაცია	1 თანამშრომელი	60,000 ევრო
იტალი	კოორდინაცია	n.a.	n.a.
პორტუგალია	კოორდინაცია, მონიტორინგი, განხორციელება და შეფასება	კომისიის 2 ხელმძღვანელი; განყოფილების 7 ხელმძღვანელი; 23 პოლიციის ოფიცერი; 15 ადმინისტრაციული ასისტენტი; ინფორმაციული ტექნოლოგიების 2 თანამშრომელი.	მისი საქმიანობა ფინანსდება მთავრობის წევრთა (მინისტრები) ბიუჯეტებით, რომლებიც კომიტეტის წევრები არიან 4.112.431 ევრო

ქვეყანა	კოორდინაცია	განხორციელება	მონიტორინგი
დანია	<p>NAP1-ის კოორდინაცია, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება ან „ოჯახსა და ინტიმურ ურთიერთობებში ძალადობასთან ბრძოლის ღონისძიებები“;</p> <p>NAP2-ის კოორდინაცია, განხორციელება და მონიტორინგი „ღირსების სახელით კონფლიქტების ეროვნული სტრატეგიის“ განხორციელებისთვის.</p>	<ul style="list-style-type: none"> • NAP1-ის კოორდინაცია და განხორციელება: 1 სრულ და 2 ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პერსონალი (ბავშვთა, განათლებისა და გენდერული თანასწორობის სამინისტრო); • NAP1-ის მონიტორინგი და შეფასება: ხორციელდება ბავშვთა, განათლებისა და გენდერული თანასწორობის სამინისტროს გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ (პერსონალის რაოდენობა არ მითითებული); • NAP 2: კოორდინაცია და განხორციელება; 2 თანამშრომელი; • NAP2-ის მონიტორინგი: ახორციელებს ემიგრაციის, ინტეგრაციისა და საცხოვრისის სამინისტრო და საერთაშორისო დასაქმებისა და ინტეგრაციის დანიის სააგენტო. 	<ul style="list-style-type: none"> • სრული ბიუჯეტი 1.1 მლნ. დანიური კრონა (კოორდინაციისთვის გამყოფილი ბიუჯეტი არ არის მითითებული); • n.a. - NAP2.
სერბეთი	კოორდინაცია	დამატებითი პერსონალი არ ჰყავს	ბიუჯეტი არ არის გამყოფილი
ესპანეთი	კოორდინაცია, შეფასება და მონიტორინგი	კოორდინაცია, შეფასება და მონიტორინგი: დაახლოებით 30 თანამშრომელი (გენდერული ძალადობის სამთავრობო დეფუგაცია)	26 მლნ. ევრო
შვედეთი	კოორდინაცია	<ul style="list-style-type: none"> • კოორდინაცია სამთავრობო დონეზე: დაახლოებით 6-10 თანამშრომელი, შესაბამისი სამინისტროების წევრები; • უწყებათაშორისი დონე: ოსტერგოთლენდის საოლქო ადმინისტრაციული საბჭო და შამაკაცთა ძალადობის შემსწავლელი ეროვნული ცენტრი; არ არის გამყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი მითითებული კოორდინაციისთვის; • საოლქო დონე: დაახლოებით 2 თანამშრომელი, თითოეული 21 ოლქისათვის. 	<ul style="list-style-type: none"> • სამთავრობო დონე: n.a. • უწყებათაშორისი დონე: n.a • საოლქო დონე: n.a.; სრული ბიუჯეტი (მათ შორის კოორდინაცია): 2.3 მლნ. ევრო

ბიბლიოგრაფია

ევროპის საბჭო (2009), სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კარგი პრაქტიკის კოლექსი;

შვედეთის სამთავრობო უწყებები (2014), მეტი დაცვა იძულებითი და ადრეული ქორწინებებისაგან, საინფორმაციო ბიულეტენი;

ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ექსპერტთა ჯგუფი (2015), ანგარიში ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის საბჭოს კონვენციის განხორციელებაზე ფინეთის მიერ, GRETA- ს შეფასების პირველი რაუნდის ანგარიში;

კრიზანი, ანდრეა; პაპ, ენიკო (2016): ყოვლისმომცველი და კოორდინირებული მიდგომის განხორციელება; პოლონეთის გენდერული ძალადობის პრევენციასა და ბრძოლაზე რეაგირების შეფასება, ევროპის საბჭო (რედაქტორი);

ალენ ნ. ე. (2006), “ოჯახში ძალადობის საკოორდინაციო საბჭოს ეფექტიანობის შესწავლა“; ქალთა მიმართ ძალადობა, ტომი 12 ნომერი 1, გვერდები 46-67;

ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისრის ოფისი (2016), ექსპერტთა სემინარი საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლების შესახებ;

შვედეთის მთავრობა (2015), პოლიტიკის მიზნები და ახალი სამთავრობო უწყება;

შვედეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (2015), პოლიტიკის მიზნები და ახალი სამთავრობო სააგენტო - გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ეფექტიანი მართვა;

რუესკანენ ე. და ართმაა, კ. (2008), ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ადმინისტრაციულ მონაცემთა შეგროვება ოჯახში ძალადობის შესახებ, ევროპის საბჭო (რედაქტორი).

www.coe.int/conventionviolence
conventionviolence@coe.int

www.coe.int

ევროპის საბჭო მუშაობს ნორვეგიის გრანტების ფინანსურ მექანიზმთან(2009-2014) თანამშრომლობით „ოჯახური და გენდერზე დამოკიდებული ძალადობის“ პროგრამის ფარგლებში. თანამშრომლობა ეფუძნება ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მყარ სტანდარტებს, კერძოდ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას (სტამბოლის კონვენცია).